საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი-ოთხშაბათი, 11-12 აგვისტო. 2020 წ. №99 (9025) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

1121 წლის მარიამობის 12

ქართველთა ძლევაჲ საკვირველის მარად დაუვიწყარი დღეა, როდესაც დავით აღმაშენებლის სტრატეგიამ საქართველო რიცხვმრავალ მტრისგან, დაუნდობელ თურქ-სელჩუკებისგან გადაარჩინა და მომავლისკენ გზა გაუსნა. **„ეს გაუმარჯოს ერთი დიდგორით, ყველა წაგებულ ომის მოგებას“!..** დღევანდელ პოლიტიკანებისგან დიდი დავითის სტრატეგიის დაჩემება უზნეობა და სასაცილოა ერთდროულად.

უფალო, შენ გაამთლიანე და გადაარჩინე საქართველო!

ყველასთვის საამაყო ქართველი ანზორ ერქომაიშვილი 80 წლისაა

ქართველ მომღერალს, ლოტბარს, კომპოზიტორს, მსოფლიოს სხვადასხვა არქივში მიმობნეული ქართული სიმღერების ჩანაწერების მომძიებელსა და გამომცემელს, ანსამბლების – „რუსთავისა“ და „მართვეს“ დამაარსებელს **ანზორ ერქომაიშვილს** „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ **ბიძინა ივანიშვილმა** 80 წლის იუბილე მიულოცა.

„გულწრფელი პატივისცემითა და დიდი სიყვარულით ვულოცავ იუბილეს გამორჩეულ კაცს, ბატონ ანზორ ერქომაიშვილს, რომელსაც განგებამ ადამიანისთვის ყველაზე სანუკვარი მისია – ერის სამსახურში დგომა განუსაზღვრა და რომელმაც 8 ათეული წელია, ამ ტვირთის ზიდვის პასუხისმგებლობა იკისრა.

ანზორ ერქომაიშვილმა მთელი ცხოვრება მიუძღვნა ჩვენს ნამდვილ საგანძურს – უნიკალურ ქართულ ფოლკლორს, ეროვნულ პოლიფონიას, რომელიც ვაზთან, ნინოს ჯვართან და ქართულ ღვინოსთან ერთად, ჩვენი იდენტობის განუყოფელი ნაწილია.

დღეს მრავალხმიან ქართულ ხალხურ სიმღერას სულ უფრო მეტი მსმენელი და დამფასებელი რომ ჰყავს მთელ მსოფლიოში, ჩვენ რომ შეგვიძლია საგულდაგულოდ მოძიებული და შეგროვებული საგანძური მომავალ თაობებს გადავცეთ, ეს ბატონი ანზორის განუზომელი თავდადებისა და ერთგულების დამსახურებაა.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ყველასთვის საამაყო ქართველს, ბატონ ანზორ ერქომაიშვილს 80 წლის იუბილეს. ვუსურვებ მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს!“

სალომე ზურაბიშვილი: თქვენ შეინარჩუნეთ ქართული სული და ქართული იდენტობა!

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა 80 წლის ანზორ ერქომაიშვილი ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა.

პრეზიდენტმა ანზორ ერქომაიშვილს სახელმწიფო ჯილდო ქართული საგუნდო მუსიკის, ფოლკლორის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და ქვეყნის წინაშე აღმატებული ღვაწლისთვის, გურიის სოფელ აცანაში, საზეიმოდ გადასცა.

საქართველოს პრეზიდენტმა ანზორ ერქომაიშვილს საქმიანობაში წარმატებები უსურვა და ქორმაისტერის დამსახურებებს შორის მის პედაგოგიურ მოღვაწეობას, ადგილობრივი და საერთაშორისო ფესტივალების დაარსებასა და იუნესკოში მოღვაწეობას გაუსვა ხაზი.



„ეს სახელმწიფო ჯილდო ნიშანია იმისა, რომ თქვენ ამ ხალხის ფოლკლორს ემსახურებით და თქვენ მიერ გავლილი ცხოვრება სწორედ იმის უწყვეტი დადასტურებაა, რომ ჩვენი ხალხური მრავალხმიანი მუსიკა ჩვენთვის ჩვენი იდენტობის მატარებელია და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არა მრავალხმიანობა, რომ არა ეს სიმღერები, რომლებიც თქვენ აღმოაჩინეთ, შემოუნახეთ მომავალ თაობებს და გადაარჩინეთ, რომ არა ეს, ჩვენ არ ვიქნებოდით ის, რაც ვართ.

ვერცერთი ქართველი ვერ იტყვის, რომ ქართველია, თუ არ მოუსმენია მრავალჟამიერი, თუ არ მოუსმენია მეგრული ნანა და გურული კრიმანჭული, იმ საგალობლებისთვის, რითაც ჩვენ ვლოცულობთ.

ქართველი ერი ის ერია, რომელმაც მოიტანა მრავალხმიანობა და გააცნო მსოფლიოს. ჩვენ ვართ ის ერი, რომელიც მუდამ მღერის ლხინსა და ჭირში, მღერის როცა შრომობს, მღერის ეკლესიაში და ეს სიმღერა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ალბათ, ამით ვართ ჩვენ ასეთი ძლიერი.

ალბათ, ამიტომაც გადავრჩით, რადგან იმის საშუალება გვაქვს, რომ თუნდაც ძალიან მძიმე პერიოდსა და ომში ვიმღეროთ. ვისაც სვანური ზარი არ მოუსმენია, იმან არ იცის. რა არის საქართველო.

ეს ჯილდო პირადად თქვენთვის და თქვენი დამსახურებისთვისაა. თქვენ ახალი თაობებისათვის შეინარჩუნეთ ქართული სული, ქართული იდენტობა, რომელიც ჩვენი შინაგანი ძალაა“. თავის მხრივ, ანზორ ერქომაიშვილმა მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს უდიდესი დაფასებისა და სახელმწიფო ჯილდოსათვის.

გუშინვე საქართველოს პრეზიდენტმა ანზორ ერქომაიშვილთან ერთად ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო აკეთში წმ. გიორგის სახელობის ტაძრის ეზოში ანზორ ერქომაიშვილის მოსწავლეების მიერ ჩატარებული ექსპედიციის შედეგად აღმოჩენილი ცნობილი ლოტბარების, ძმები ხუხუნაიშვილებისა და ჯგუფის „შვიდკაცას“ წევრების საფლავები მოინახულა. აღმოჩენილია ხუხუნაიშვილების ანსამბლის 6 წევრის საფლავი.

ექსპედიციას სათავეში ედგნენ: ანსამბლ „შავნაბადას“ ხელმძღვანელი დათო ცინცაძე და ლანჩხუთის ხუხუნაიშვილების სკოლის ხელმძღვანელი ავთანდილ თურქია, რომლებიც აცხადებენ, რომ ხუხუნაიშვილების ანსამბლის შემოქმედება ქართულ ფოლკლორში ერთ-ერთ გამორჩეულ და განსაკუთრებულ ადგილს იკავებს და მათ საპატიო ადგილი უჭირავთ ასევე, მსოფლიო ფოლკლორის ისტორიაში.

გუშინ საღამოს ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში ყველასათვის საამაყო და საყვარელ ანზორ ერქომაიშვილს დიდი საიუბილეო საღამო მიუძღვნეს.

სააკაშვილმა აღიარა მედვედევისადმი გაგზავნილი წერილის შესახებ, რომელშიც თურმე ნატოზეც უარს ამბობდა!

3

ჟურნალისტური გამოძიება

გოქსელ გენჩი – „თურქი ოსტაპ ბენდერი“

6

გიორგი გახარია: 2020 წლის არჩევნები არ იქნება მხოლოდ „ქართული ოცნების“ გამარჯვება, ის ქვეყნის გამარჯვება იქნება

ეს იქნება ყველაზე დემოკრატიული არჩევნები ქვეყანაში. ეს არ იქნება რომელიმე პარტიის, ამ შემთხვევაში მხოლოდ „ქართული ოცნების“ გამარჯვება, არამედ ქვეყნის გამარჯვება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ კახეთში განაცხადა, სადაც „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ირაკლი ქადაგიშვილი წარადგინა. მთავრობის მეთაურის თქმით, უნდა გაგრძელდეს ქვეყნისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ყველა საქმე, რომელიც დაწყებულია და ყველამ ერთად უნდა იშრომოს საქართველოს წარმატებისთვის.

„მოგეხსენებათ, ირაკლი ქადაგიშვილი შრომობდა, როგორც კახეთის გუბერნატორი, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ მან დეტალურად იცის ყველა რაიონში, სად რა პრობლემაა, სად რა არის გასაკეთებელი, რას ელოდებიან ჩვენი მოქალაქეები და მოსახლეობა, ასე რომ, ის უკვე პარლამენტის ტრიბუნიდან შეძლებს იმ პრობლემების მოგვარებას რაც ამ რეგიონს ეხება. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ კამპანიის დაწყებაში ჩემთვის არის რამდენიმე რამ, პირველი — ქვეყნისთვის ბევრი უაღრესად მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს დაწყებული და ეს ყველაფერი არის გასაგრძელებელი, ლოგიკურ დასრულებამდე მისაყვანი და მეორე — ჩვენ ყველამ ერთად, ერთად და კიდევ ერთხელ ერთად უნდა ვიშრომოთ, ვიზრუნოთ საქართველოს წარმატებისთვის, ეს არის ჩვენი სლოგანიც და მიზანიც და ვფიქრობ, ეს უნდა იყოს და იქნება ყველაზე სუფთა, ყველაზე დემოკრატიული, ყველაზე წარმატებული არჩევნები ქვეყანაში და ეს არ იქნება რომელიმე პარტიის, ამ შემთხვევაში მხოლოდ „ქართული ოცნების“ გამარჯვება, არამედ ეს იქნება ქვეყნის გამარჯვება“...

ირაკლი ქადაგიშვილის წარდგენას უძღვებოდა „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი კახა კალაძე.

ირაკლი ღარიბაშვილი: ერთადერთი მიზანი, რომელიც საკაშვილს ამოძრავებს — ძალაუფლებაა!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა მდივანმა, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ახმეტაში გამოსვლისას გიორგი ანწუხელიძის გმირობა გაიხსენა და განაცხადა, რომ მისი გმირობის საპირისპიროდ აგვისტოს ომის დღეებში ქართველმა ხალხმა მაშინდელი პრეზიდენტისა და მთავარსარდლის სააკაშვილის სიმხდალე იხილა.

„ჩვენ აქ ვიმყოფებით, ჩვენი ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის მუნიციპალიტეტში. დიდება მის სახელსა და ხსოვნას! იმ დროს, როდესაც გიორგის მსგავსად გმირები იბრძოდნენ აგვისტოს ომში, ჩვენ ყველამ ერთად ვნახეთ დიდი ეროვნული სირცხვილი, ყოფილი პრეზიდენტის, იმ დროს მთავარსარდლის სიმხდალე, რაც ქართველ კაცს არ ახასიათებს. ეს არ არის ჩვენი — ქართველი კაცის გულსა და სულშია სულ სხვა ბრძოლის მუხტი. სხვა სულია! ჩვენ ვიხილეთ დიდი ტრაგედია. საერთოეროვნული სირცხვილი — მიწაზე გართხმული მთავარსარდალი, რომელიც დღესაც უნამუსოდ და უსირცხვილოდ აცხადებს პრეტენზიას. მას ერთადერთი მიზანი და ჟინი ამოძრავებს — ძალაუფლება. ძალაუფლება, რომელსაც ვერ ივიწყებს. ვერც ის და ვერც მისი კორუმპირებული გუნდი, რომელმაც ქვეყანას ამდენი უბედურება მოუტანა“, — დასძინა ღარიბაშვილმა.

ოთხი მილიონი პირბადე ფონდი „ქართუსგან“

საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ქართული კომპანია სამედიცინო პირბადეების წარმოებას აგრძელებს. ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის მომარაგების მიზნით, ადგილობრივი წარმოების ოთხი მილიონი სამედიცინო პირბადე ფონდმა „ქართუმ“ შეიძინა და სახელმწიფოს სრულიად უსასყიდლოდ გადასცა, — ამის შესახებ ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციაშია აღნიშნული.

— პირბადეები ქართულმა კომპანიამ შეკერა. ეს არის უმაღლესი ხარისხის, სამშრიანი სამედიცინო ნიღბები, რომლებიც სერტიფიცირებულია დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ და სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

ელოდებიან სიმინდის კარგ მოსავალს

გარემოს **დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ გიორგი ხანიშვილმა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, აბაშის მუნიციპალიტეტში, ანჯელის მასივში, სიმინდის საყანე ფართობები დაათვალიერა.**

როგორც გიორგი ხანიშვილმა აღნიშნა, სახელმწიფოს მიერ მავნებლის საწინააღმდეგოდ გატარებული თანმიმდევრული და კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, წელს ფერმერებს მაღალი ხარისხის მოსავალი აქვთ, რაც შესაბამისად აისახება მათ შემოსავლებზე. სურსათის ეროვნული სააგენტო ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებებს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ახორციელებს. სიმინდის საყანე ფართობები ცივი შესხურების ტექნოლოგიითა და მსოფლიო ექსპერტების მიერ რეკომენდებული პრეპარატებით მუშავდება. წამლობა უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით მიმდინარეობს. ტყისპირა პერიმეტრებზე მონტაჟდება „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგურები.

ქახა ოქრიაშვილმა ცეზარ და იაგო ჩოჩელებთან ერთად პარტია შექმნა

მაჟორიტარმა დეპუტატმა კახა ოქრიაშვილმა და ბიზნესმენებმა ცეზარ და იაგო ჩოჩელებმა პარტია შექმნეს. ამის შესახებ განცხადებას კახა ოქრიაშვილის პრეს-სამსახური ავრცელებს.

„პოლიტიკურ სივრცეში ახალი პარტია — „პროგრესი და თავისუფლება“ შეიქმნა. პარტია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ უკვე დარეგისტრირდა საარჩევნო სუბიექტად. ახალი პარტიის სახელი მოქმედი მაჟორიტარის კახა ოქრიაშვილისა და ძმების — ცეზარ და იაგო ჩოჩელების სახელს უკავშირდება“, — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

დმანისის მერი გიორგი ტატუაშვილი „ქართული ოცნებიდან“ გარიცხეს

გარიცხვის მიზეზი „ქართული ოცნების“ კონკურენტი კანდიდატის მხარდაჭერაა.

„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ სამდივნოს გადაწყვეტილებით, დმანისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი ტატუაშვილი, რომელიც ამავე დროს იკავებს დმანისის მერის თანამდებობას, პარტიის რიგებიდან იქნა გარიცხული.

გარიცხვის მიზეზი გახდა პარტიული დისციპლინის უხეში დარღვევა, რაც გამოიხატა მის მიერ „ქართული ოცნების“ კონკურენტი კანდიდატის საარჩევნო კამპანიის მხარდაჭერაში“, — ნათქვამია განცხადებაში.

დახმარების ახალი პაკეტი - ბიზნესს

ბიზნესს პოსტპანდემიურ პერიოდში უფრო გაუჭირდა. ამიტომ მთავრობაში კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ არსებულ ვითარებაზე. ეკონომიკის მინისტრი არ გამორიცხავს, რომ უახლოეს პერიოდში ახალი ინიციატივებით წარდგეს მთავრობა ბიზნესის დახმარების კუთხით.

„სოციალური პაკეტი წარვადგინეთ, რომელიც ადამიანებზე იყო გათვლილი. რაც შეეხება ბიზნესს, ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას, მუდმივად განიცდის მოდიფიკაციას პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ და მე არ გამოვრიცხავ, რომ უახლოეს პერიოდში ახალი ინიციატივებით წარვდგეთ მთავრობაში, თუ როგორ დავეხმაროთ ბიზნესს.

ჩვენი ცხოვრება არ იყოფა არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ. თუ დღეს დასჭირდა დახმარება ბიზნესს, რა თქმა უნდა, დავეხმარებით და ვერ ვეტყვით, ახლა დაგვაცადეთ, ვიღაცამ არ დაგვაბრალოს, რომ ძალიან ახლოს მივედით არჩევნებთან-თქო. სექტემბერში არ სჭირდება ბიზნესს დახმარება ან ოქტომბერში? ჩვენ გვაქვს ურთიერთობა ბიზნესთან, ვიცით პრობლემები და აუცილებლად დავეხმარებით მათ“, — განაცხადა ნათია თურნავამ.

თითქმის არ დარჩა სექტორი, რომელიც პანდემიის შემდეგ მთავრობისგან დახმარებას არ ითხოვდეს, მაგრამ მათ შორის რამდენიმე მაინც გამოსაყოფია. ერთ-ერთია ავტობიზნესი, რომელსაც 3 კვირის შემდეგ რთული პირობის შესრულება მოუწევს.

პანდემიის მომძლავრებისთანავე პირველ აპრილამდე შემოყვანილი ავტომობილების განბაჟების ვადა სექტემბრამდე გახანგრძლივდა. ეს იყო შეღავათი, რაც ამ ბაზრის მონაწილეებს ხელისუფლებამ კრიზისის დრომ შესთავაზა. ახლა, როცა გადასახადის გადახდამდე 3 კვირა რჩება, დილერები ამბობენ, რომ, რთული ვითარების გამო, დამატებითი შეღავათები დასჭირდებათ.

ავტოდილერი **გიორგი ქარდავა** აღნიშნავს, რომ უცნაურია რაიმე დადებით ტენდენციაზე საუბარი შექმნილ ვითარებაში, როცა რეალიზაცია, ფაქტობრივად, აღარ არის.

„შემცირება სხვა რამეა, რაც ახლა ხდება, ამას ჰქვია, რომ საერთოდ აღარ ხდება გაყიდვა. ერთადერთი, ის კომპანიები მუშაობენ, რომლებსაც ლიზინგი აქვთ. ძალიან საჭირო დროს მოხდა განბაჟების გადასახადის გადავადება, მაგრამ ეს შეღავათი კიდევ ერთხელ თუ არ გახანგრძლივდა, მართლა არ ვიცი, რა გვეშველება“, — განაცხადა დილერმა.

უკვე გასაკვირი არავისთვისაა, რომ უმძიმეს დღეშია ტურიზმი და მასთან დაკავშირებული ბიზნესი. სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის დამფუძნებლის **შალვა ალავერდაშვილის** ინფორმაციით, პანდემიის შედეგად შექმნილი ვითარების გამო ტურიზმის ინდუსტრიაში 280 000-მდე ადამიანი

◎ მეგობრული წკეპლიკა

ფუჭად დაკარგული დრო

ანუ ჯიმი არა ჩუ...

ORI აზრი არ არის, რომ ამჟამად საქართველოში წინასაარჩევნო ომია. ნამდვილი ომი. ოპოზიციური არხები — „მთავარი“, „პირველი“, „ფორმულა“ დღედაღამ „ოცნების“ განქიქებასა და ტალახის სხმაში არიან. ტყუილების, ცილისწამების წარღვნაა. ვიღაცას თუ ფეხი გადაუბრუნდა ან ეღრძო, კისრის მოტეხაზე აღარფერს არ ვამბობ, ყველაფერი „ამჟამინდელი დამპალი სისტემის“ ბრალია. ოცნებასაც აქვს თავისი დამცველი არხები — „იმედი“, „მაესტრო“... „რუსთავი“ და „პალიტრა ნიუსი“ აქეთაც არიან, იქითაც, ცდილობენ მიუკერძოებლობის დაცვას, რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ „საზოგადოებრივ არხს“, დიდად სამწუხაროდ, როგორც იტყვიან, გინდ ყოფილა, გინდ — არა!..

ცალკე უნდა ითქვას, რომ ღირსეულად არის ჩაბმული ამ წინასაარჩევნო ომში „პოსტივი“, რომელიც რეკლამის მხრივ ჯერჯერობით ღარიბად გამოიყურება, მაგრამ თანდათან სულ უფრო ბევრი ადამიანი უყურებს. ზემოხსენებულ ეგრეთ წოდებულ ოპოზიციურ, უფრო სწორად, აშკარად მავნე არხებს, რომ იტყვიან, ღდინში ჩასდევს. ამ მხრივ გამოირჩევიან „მედიარენტგენი“, „ბაჩო და გური“, „სამნი“, ჟორჟოლიანის შოუ.

ნამდვილად დასანანია, რომ „მედიარენტგენს“ სულ ხუთი წუთი აქვს დათმობილი და ოცი წუთი მსმენელისთვის გაუგებარ ეგრეთ წოდებულ **„ჯიმი არა ჩუს“** გადაცემას უძღვება უდავოდ ნიჭიერი ვინმე **აბესაძე,** მაგრამ **ნამდვილად აბდაუბდა ლაპარაკი და „იმერულად“ მანჭვა-გრეხა საქმეს ვერ შველის. მე ბევრს ვკითხე აზრი ამ გადაცემის თაობაზე, და თითქმის სუყველამ ხელები გაშალა, ეგ მამაცხონებული ნამდვილად მასხარად იგდებს მაყურებელსაც და მსმენელსაც.** შალვა რამიშვილისგან გაგვკვირვებია, არხის დამფუძნებლისგან, სადა აქვს „პოსტივის“ ბალახტარობისთვის (ხალტურისთვის) ამდენი დასაკარგავი დრო ამ გაგანია ომში?! დროა, ნამდვილად დროა, რომ ჯიმის მკაცრად **არაც** ვუთხრათ და **ჩუუუც!...**

გურამ წიკლაური

უმუშევარი დარჩა. რაც შეეხება საზღვაო კურორტებს, 1996-97 წლების პერიოდში დაბრუნდა საზღვაო კურორტები და სულ რამდენიმე მცირე სასტუმრო მუშაობს. ტურიზმის ინდუსტრია საბანკო სესხების გადავადებას 1 წლით ითხოვს. ამ დროს კი ისედაც ძალიან ცუდ მდგომარეობაში მყოფი ბიზნესის გამკაცრებული ფორმით დაჯარიმებამ შესაძლოა, სექტორი გაანადგუროს.

„კარგი იქნებოდა, ჯანდაცვის სამინისტრო უფრო გაგებით მოეკიდოს ისედაც მძიმე სიტუაციაში აღმოჩენილ ობიექტებს. თავის მხრივ არც ბიზნესს ვამართლებ, მათაც უნდა აიღონ ვალდებულება და ყველა რეკომენდაცია უნდა შეასრულონ.

ნამდვილად არ მივესალმები ისედაც ძალიან ცუდ მდგომარეობაში მყოფი ბიზნესების ასეთი სახით დაჯარიმებას, რადგან ამ ფაქტმა სექტორი შესაძლოა, სულ გადატეხოს. არსებული 10 000 ლარი საკმაოდ მძიმე ჯარიმაა მათთვის და ამიტომ ჯანდაცვის სამინისტროს მოვუწოდებ, უფრო ლოიალურები იყვნენ და ამ საქციელით ნუ ამაყობენ. მსოფლიოში, ასეთი მაღალი ჯარიმები არავის არ აქვს. სპეციალურად მოვიძიეთ ეს ინფორმაცია და აღმოჩნდა, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას 10 ათასლარიანი ჯარიმა არ აქვს, მით უმეტეს პანდემიის პირობებში“, — განაცხადა ალავერდაშვილმა.

ეკა ბაძრაძე

კონდოლიზა რაისი კრემლის ბინადართა აგრესიულობასთან დაკავშირებით ამბობს, რომ შესაძლოა, ხელისუფლებიდან პუტინის წასვლას დაველოდოთ, პუტინი უნდა შეკავდეს. საბჭოთა კავშირს ამერიკელი ჯარისკაცები აკავებდნენ, რომლებიც საფრთხის წინაშე იდგნენ გერმანიაში. კონდოლიზა რაისის თქმით, მათ მეტის გაკეთება შეუძლიათ ნატოში შეკავებისთვის და იმ ქვეყნების დასახმარებლად, რომლებიც რუსეთის საფრთხის წინაშე არიან. რას ნიშნავს კონდოლიზა რაისის ეს სიტყვები აგვისტოს ომის მე-12 წლისთავთან დაკავშირებით, ამის შესახებ ანალიტიკოსი ამირან სალუქვაძე გვესაუბრება.

ამირან სალუქვაძე:

სააკაშვილმა აღიარა მედვედევისადმი გაგზავნილი წერილის შესახებ, რომელშიც თურმე ნატოზეც უარს ამბობდა!

— მართლაც შეუძლია თუ არა დასავლეთს პუტინის შეკავება, თუ უნდა დაველოდოთ ხელისუფლებიდან მის წასვლას?

— არარაციონალურად მიმაჩნია მსგავს მოლოდინზე სტრატეგიის აწყობა, მესმის, რომ ეს პოსტსაბჭოთა სივრცისთვის კარგი მოსასმენია, მაგრამ სტრატეგიები უნდა ავაგოთ ყველაზე უარესი სცენარებისთვის და არა ჩვენთვის მისაღები გარემოებებიდან გამომდინარე. დღევანდელი რეალობიდან უნდა დავგეგმოთ ხვალინდელი ნაბიჯები. იგივე უნდა გააკეთოს დასავლეთმაც. რას ნიშნავს დაველოდოთ პუტინის წასვლას? ასე დიდხანს შეიძლება მოგვიწიოს ლოდინი. შეიძლება ხვალვე ისეთნაირად განვითარდეს რუსეთში ვითარება, რომ პუტინს ხელისუფლებიდან წასვლა მოუწიოს, ან სიკვდილამდე იყოს ხელისუფლებაში.

— ალბათ, კონდოლიზა რაისის ნათქვამი გულუბრყვილოა, რადგან „პუტინი 1“ თუ წავა, „პუტინი 2“ მოვა, რუსეთში უყვართ ასეთი ხისტი ლიდერები.

— შეიძლება ისეთი მოვიდეს, მთლად დაანგრიოს რუსეთი. 1998 წელს არავინ ფიქრობდა, რომ 2020 წელსაც ისევ პუტინი იქნებოდა სათავეში. „პუტინი 2“ კი არა, შეიძლება უარესი პუტინი მოვიდეს და გაცილებით უარესი სურათი ვიხილოთ რუსეთში. ყოველთვის უარეს სცენარებზე უნდა ვიყოთ ორიენტირებულნი და ამ სცენარებზე ავაგოთ სტრატეგიები. განსაკუთრებით სამხედროებს გვესმის ეს საკითხი კარგად. წარმოიდგინეთ, სამხედრო ოპერაცია დაგეგმო შენთვის საუკეთესო ვარიანტებიდან გამომდინარე და არა იქიდან, მოწინააღმდეგე როგორ იმოქმედებს შენს წინააღმდეგ. ამ დროს მოწინააღმდეგეც ხომ აზროვნებს, რომ მისთვის ხელსაყრელი სცენარით განავითაროს მოქმედებები? ამიტომ მოწინააღმდეგის მაგივრად უნდა ვიფიქროთ იმისთვის, რომ სწორად დავგეგმოთ სტრატეგია, თანაც, არა ერთი, არამედ ორი - სამი შესაძლო უარესი სცენარის სამოქმედო გეგმები უნდა გაგვაჩნდეს. პუტინს სიკვდილის ბუზი როდის დააჯდება, ამაზე გათვლების გაკეთება არარაციონალურია.

— სააკაშვილის შემთხვევაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ედრებოდა დავით აღმაშენებელს და საკუთარი გადასახედიდან დაგეგმა ცხინვალის მოვლენები ისე, რომ მოწინააღმდეგის უარესი სცენარი შეგნებულად გამოტოვა?

— მე ვერ ვიტყვი, რომ რაიმე დაგეგმა მაშინდელმა ჩვენმა ხელისუფლებამ, დაგეგმილი უფრო ჩანდა რუსეთის მხრიდან. მოგვწონს თუ არა, რუსეთს ახასიათებს ეს, რომ ყველა ინსტანციაში, ეს იქნება პრეზიდენტის ადმინისტრაცია, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი, სხვა ძალოვანი უწყებები, თუ მთლიანად მთავრობა, სტრატეგიულ დონეზე ყველაფერი იგეგმება ხოლმე და, საერთოდ, ყველა სცენარისთვის აქვთ გამზადებული სამოქმედო გეგმები. რუსეთში ეს ტრადიციულად მომდინარეობს. რა თქმა უნდა, ბოლო ორი წლის განმავლობაში განსაკუთრებით იძაბებოდა ურთიერთობები რუსეთ-საქართველოს შორის, გვახსოვს ჩვენი საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტები, გვახსოვს ლავროვის განცხადება „სუ-24“ ტიპის თვითმფრინავი როცა შემოფრინდა, რომ ეს იყო გამაფრთხილებელი სიგნალი თბილისის ცხელი თავებისთვის, ეს უკვე ნიშნავდა წინასაომარ რიტორიკას, რადგან საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული არ არის საჰაერო სივრცის დარღვევის აღიარება. თუ ეს შემთხვევით მოხდა, ყველაფერი დიპლომატიურად გვარდება, მაგრამ, როცა ცხადდება, რომ ეს განზრახ ხდება, ეს უკვე არის აგრესიის ფაქტი. ანუ ლავროვმა ამ გაფრთხილებით 2007 წელს, ფაქტობრივად, აგრესიის ფაქტი აღიარა და მეტიც, სიტყვიერი მუქარა განახორციელა საქართველოს ხელისუფლების მიმართ. სხვათა შორის, ეს მოჰყვა 2004 წლის მოვლენებს, როცა რუსეთმა ორივე რეგიონის, როგორც აფხაზეთის, ისე სამაჩაბლოს აქტიური მილიტარიზაცია დაიწყო.

ბოლო წლებში გვახსოვს ძალისმიერი პასპორტიზაციის პროცესი. იყო განცხადებები კოსოვოსთან დაკავშირებითაც, ანუ პუტინის ცნობილი განცხადება, რომ ჩვენ მომზადებული გვაქვს „საშინაო დავალებები“, ეს უკვე მეტყველებდა, რომ რუსეთი ომისთვის ემზადებოდა. ამ დროს რა გააკეთა ჩვენმა მხარემ? რთული სათქმელია, გარდა იმ ერთი წერილისა, რომლის შესახებაც ადრე ჭორების დონეზე ვიცოდით საექსპერტო თუ საქმეში ჩახედულ სხვა წრეებში. ვგულისხმობ სააკაშვილის წერილს მედვედევისადმი 2008 წლის ივნისში, სააკაშვილმა საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ აღიარა ამ წერილის შესახებ, რომ ბევრი რამ შესთავაზა მედვედევს. სხვათა შორის, სააკაშვილი თავის სასარგებლოდ იყენებს ამ წერილს, ნატოზეც კი უარი ვთქვი და ომი მაინც ვერ ავიცილე თავიდანო. ჯერ ერთი, ნატოზე უარის თქმის უფლება მას ერთპიროვნულად არ ჰქონდა, პოლიტიკა არ არის ომობანას, სახლობანას, ექიმობანას თამაში. თუ ჩვენ ჩავატარეთ მოსახლეობის გამოკითხვა და მოსახლეობის 2/3-მა ნატოში გაწევრიანებაზე თქვა თანხმობა, რა უფლება აქვს პრეზიდენტს, ერთპიროვნულად უარი თქვას ნატოზე?! იქ იყო შეთავაზებები ბაზებთან დაკავშირებითაც. საინტერესოა, რომ საპასუხო წერილიც მიიღო სააკაშვილმა და ეს ორი წერილი, გაგზავნილიც და მიღებულიც, ფართოდ გავრცელებული არ ყოფილა, მაგრამ ჭორების დონეზე ეს ვიცოდით. სააკაშვილმა მოგვიანებით რატომღაც არ თქვა, რომ მედვედევისგანაც მიიღო პასუხი, მედვედევი პოზიტიურად განეწყო ამ წერილის მიმართ და საპასუხო ვიზიტის განხორციელებაც შესთავაზა საქართველოში, ანუ მედვედევი უნდა ჩამოსულიყო, ამას 100%-ით ვერ დავადასტურებ, მაგრამ, თუ ის წერილი, რომელიც სააკაშვილმა გაგზავნა, რეალურია, იმავე ალბათობით, პასუხიც იქნებოდა რუსეთიდან.

— როგორც ჩანს, სააკაშვილის ამ ჩანაფიქრს ამერიკელებმა შეუშალეს ხელი.

— არა მგონია, 2-3 წლის წინ იყო კონდოლიზა რაისის ინტერვიუ. თუ იმ ინტერვიუსაც გავაანალიზებთ, სააკაშვილისთვის ხელი არავის შეუშლია, მე მგონი, პირიქით, უფრო აფრთხილებდნენ და მოუწოდებდნენ, ანკესზე არ წამოგებულიყო. ამერიკულ მხარეს ჰქონდა ინფორმაცია, რომ რუსეთი ემზადებოდა სხვადასხვა სცენარისთვის, რათა დაპირისპირების პროვოცირება მოეხდინა. ვერ ვიტყვი, შეეძლო თუ არა სააკაშვილს აგვისტოს ომის თავიდან აცილება, ამისთვის სპეციალური ჯგუფი უნდა შეიქმნას, რადგან საკუთარ კარ-მიდამოს არ ეხება ეს საკითხი, ეს ეხება სახელმწიფოს, მის ტერიტორიულ მთლიანობას. საერთოდ, გადასაფასებელი გვაქვს ყველაფერი, რა გზაც გავიარეთ 2008 წლამდე, 2008 წლიდან დღემდე, რა სამართლებრივ რეჟიმში ვიმყოფებით, რა შეცდომები დავუშვით და როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რათა აღვადგინოთ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა. შესამუშავებელი გვაქვს ეს სტრატეგია.

— სარკოზის მემუარებს როგორ შეაფასებთ?

— სარკოზის მემუარებს რაც შეეხება, ჟურნალისტი წერს, რომ სარკოზი პრორუსულ ნარატივს ავითარებს და ბალანსის დაცვისთვის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ კონდოლიზა რაისის ინტერვიუსო. კარგი იქნება, თუკი 2018 წლის ინტერვიუს ამოიღებს და შეადარებს ერთმანეთს სარკოზისა და რაისის მოსაზრებებს საქართველოს ქმედებებთან დაკავშირებით. გასაგებია, რუსეთი ვინც არის, ორი საუკუნეა, ძალიან კარგად ვიცნობთ რუსეთს, არასდროს არ უნდა გვქონდეს რაიმე კარგის მოლოდინი ამ სახელმწიფოსგან, ყოველთვის უნდა ვახერხებდეთ, ცუდი სცენარი ამ ქვეყანასთან ავიცილოთ. ბედმა გვარგუნა ასეთი მეზობელი, იმხელა ტერიტორია აქვს, სადმე რომ გადავსახლდეთ ჩვენ თვითონ, მაინც სადღაც რუსეთის მეზობლად აღმოვჩნდებით. რა თქმა უნდა, ომის აცილება იოლი არ იქნებოდა, მაგრამ სარკოზის მთლად არ დავესესხები, რადგან ის პირდაპირ გვადანაშაულებს ვითარების დაძაბვაში.

იხ. 4 გვ.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ჩვენი დასავლელი პატრნიორების მხრიდან ჭკუის დამრიგებლური შეგონებები და კატეგორიული ტონი კიდევ უფრო გახშირდა. პოლიტიკურ ტრიბუნაზე უკვე კარგად განირჩევა წინა ხელისუფლების სიმპათიით განმსჭვალული უცხოელი პოლიტიკოსები და ოფიციალური პირების მიერ გაკეთებული სტანდარტული განცხადებები, რომელიც წლების მანძილზე ქართული პოლიტიკის თანმდევად იქცა. პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ ჩვენს უცხოელ პარტნიორებს მსგავსი ტიპის ქმედება, უკვე ჩვეულებად გადაუვიდა, თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ დემოკრატიის განახლებას მსგავსი შეხსენებები ყოველთვის სჭირდება.

რამაზ საყვარელიძე:

ამერიკა უფრო მეტს კარგავს საქართველოში, ვიდრე საქართველო – ამერიკაში...

რამაზ საყვარელიძე: უცხოელ მეგობრებს უკვე ჩვენთან გადაუვიდათ ყოველი არჩევნების წინ ასეთი განცხადებები. საქართველოს ამერიკა, როგორც ჩანს, ენდობა მის გეოპოლიტიკურ ორიენტაციაში, მაგრამ ის, რომ საქართველო დასავლეთის რამდენიმე საუკუნით ჩამოყალიბებულ დემოკრატიული სტანდარტებით იმოქმედებს, ამაში თავს უფლებას აძლევს, რომ არ ენდოს. ამაში არის რაღაც ლოგიკა და რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, ამ ლოგიკის სამართლიანობას თავად ამერიკის მდგომარეობა ადასტურებს. ამჟამად ტრამპი არ ენდობა არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას და არჩევნების გადადებაზეც კი დაიწყო ლაპარაკი. ამის მაგალითები ამერიკას აქვს და ეს გვიჩვენებს იმას, რომ დემოკრატიას მუდმივად უნდა ყურადღება და ზრუნვა. ეს წესით, ამერიკელებმა კარგად უნდა იცოდნენ. ასევე, ისიც უნდა იცოდნენ, რომ ეს ტონი არ უხდება იმ ურთიერთობებს, რომელიც დამყარებულია ამერიკასა და საქართველოს შორის. მაღალი რანგის პოლიტიკური ფიგურები და მაგალითად პომპეო, შედარებით ნაკლებად ხმარობენ ხოლმე ამ ტონს.

— აქ ოპოზიციის გავლენა ხომ არ იგრძნობა?

— ოპოზიციის გავლენა იგრძნობა აქამდე გამოგზავნილ წერილებშიც, თუმცა ამით არაფერი არ გვაკლდება. მაგრამ ამ დამოკიდებულებით, ამერიკა უფრო მეტს კარგავს საქართველოში, ვიდრე საქართველო — ამერიკაში.

— სამაგიეროდ, ოპოზიცია იყენებს კარგად ამერიკის ამ ტონს ხელისუფლების წინააღმდეგ...

— და აქამდე რაში გამოადგათ?

— არჩევნების შედეგებზე ამ ყველაფრის ასახვაც არ არის გამორიცხული...

— არჩევნების შედეგებზე თუ ვილაპარაკებთ, ვეჭვობ, საზოგადოება იყოს იმ დამოკიდებულებით, რომ რასაც ამერიკა იტყვის, იმ თვალით შეხედოს პოლიტიკურ პროცესებს, ასეთი ერთმნიშვნელოვანი რეაქცია მოსახლეობისა ამ ტიპის განცხადებებზე, არ არის და არც არის მოსალოდნელი, რომ იქნება.

— ბოლო პერიოდში გართულებული კრიმინოგენური ვითარება, ასევე ჩვენგან დამოუკიდებლად განვითარებული ეკონომიკური კრიზისი და, ზოგადად, დამძიმებული ფონი, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მოქმედებს ადამიანებზე და აქედან გამომდინარე მათ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, ამ მოცემულობით, წარმატების რა შანსები აქვს მმართველ პარტიას?

— ოპოზიცია, ამ შემთხვევაში „ნაციონალურ მოძრაობას" ვგულისხმობ, ცდილობს, რომ შექმნილი კრიმინოგენური ვითარება გაიგივოს მათ დროს შექმნილ კრიმინოგენურ ვითარებასთან. იმიტომ, რომ ძალიან დიდი როლი ითამაშა მაშინდელმა კრიმინოგენურმა სიტუაციამ მოსახლეობის განწყობაზე, რომ გაეშვათ ნაციონალები ხელისუფლებიდან. ამ გამოცდილების გამოყენება უნდათ დღესაც, მაგრამ ერთია, როცა თავად ხელისუფლებაა მომხდარი დანაშაულების ავტორი და მეორეა, როცა ხელისუფლება ვერ ახერხებს დანაშაულის აღკვეთას. ეს ორი სხვადასხვა რამე უნდა იყოს. ამიტომ, არ მგონია, რომ კრიმინოგენურ სიტუაციაზე აქცენტმა ის შედეგი მოუტანოს ოპოზიციას, რაც მოუტანა ივანიშვილის გუნდს, როგორც ოპოზიციას 2012 წელს.

— სახელისუფლებო გუნდის მიერ წარდგენილი კანდიდატები უზრუნველყოფენ მმართველი პარტიის წარმატებას?

— რამდენად ძლიერი კანდიდატები წარადგინა ოპოზიციამ?! კონკურენცია არის ორი ძალის ჭიდილი, ერთის ძალის სიდიდით შეიძლება შეფასდეს მეორე ძალა. თავის საუკეთესო ვარიანტშიც კი ვერ იღებს ოპოზიცია ხმების 15 პროცენტზე მეტს და რა კონკურენციაზეა ლაპარაკი? მეორე მხრივ, წარდგენილი ფიგურებიდან, არის ფიგურები, რომელზეც საზოგადოებისა და თვითონ ოპოზიციის აზრი საკმაოდ მაღალია, ამ შემთხვევაში იშვიათად მახსენდება ანალოგიური ძალის ფიგურები, ვგულისხმობ კახი შვილს, სერგეენკოს და ასე შემდეგ. ოპოზიციამ ერთადერთი მოახერხა ეთქვა, რომ არის ძველი სახეები და მაჟორიტარებში ჩასვა ის სახეები, რომლებიც ქართულ პოლიტიკაში კიდევ უფრო ძველებია. ასე რომ, თავისივე კრიტიკა რომ შეუტრიალო, თვითონ ოპოზიცია აღმოჩნდება არასახარბიელო მდგომარეობაში. ამიტომ, თუ მთლიანობაში გავაკეთებთ დასკვნას, მაშინ მაჟორიტარული ბრძოლა მეეჭვება, რომ წავიდეს მათ სასარგებლოდ, თუმც არ არის გამორიცხული, რომ ცალკეულ უბნებში ძალები გათანაბრდეს და პრინციპში, ალბათ, ბრძოლა სერიოზული იქნება. მეეჭვება, რომ გამარჯვება მოახერხონ ოპოზიციურმა კანდიდატებმა.

— ეს რაც შეეხება უკვე ჩამოყალიბებულ ამომრჩეველს, რომელთა ხმები უკვე ამ ეტაპზე ფაქტიურად გადანაწილებულიცაა, უბრალოდ, საარჩევნო ყუთებთან მისვლა სჭირდებათ ამ ადამიანებს, მაგრამ არის შუალედური ხაზი, რომელიც არცთუ მცირეა. ისინი, დიდი ალბათობით, დარჩებიან ინერტულ მდგომარეობაში. მესამე ძალის ჩამოყალიბების იდეა, რასაც ალბათ, ეს სეგმენტი ელოდა, ფაქტიურად ლეგენდის დონეზე დარჩა. ეს კი ნამდვილად არ იქნება არჩევნების საბოლოო შედეგებისთვის სახარბიელო...

— ლეგენდის ვერსია, ალბათ, სამართლიანია. რაც შეეხება მესამე ამომრჩეველს, რომელსაც არც ერთი არ მოსწონს, ოპოზიციური პარტიების ასეთი სამიზნე არის სწორედ ის, რომ მოსახლეობის რაც შეიძლება დიდ ნაწილში დამკვიდრდეს განწყობა, რომ არც ერთი ვარგა და არც მეორე. ამ ჩანაფიქრს თავისი ლოგიკაც აქვს და საარჩევნო სტრატეგიის მხრივაც არ არის გასამტყუნარი, კერძოდ: თუკი მაგ პოზიციას დაიკავებს „ქართული ოცნების" ამომრჩეველის დიდი ნაწილი, არ მივა არჩევნებზე, ამ შემთხვევაში, არჩევნებზე მისული ამომრჩეველი იმდენად მცირე შეიძლება იყოს, რომ ნაციონალების გულშემატკივრების კარგი მობილიზაციის შემთხვევაში, უკვე გათანაბრდეს შანსები ამ ტიპის ოპოზიციისა და „ქართული ოცნებისა". ანალოგიური მდგომარეობა გვქონდა საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში, როცა ვაშაძისა და ზურაბიშვილის შანსები პრაქტიკულად გათანაბრდა. იქაც ეგ შემთხვევა იყო, ბევრმა გადაწყვიტა, რომ არც ერთი ვარგა და არც მეორე, დარჩნენ სახლში, ნაციონალებმა კი თავიანთ შემადგენლობას გაუკეთეს მობილიზაცია და გამოიყვანეს. შედეგები უკვე გათანაბრდა, კარგად გამოჩნდა ის, რომ მეორე ტურში უკვე როცა აზრზე მოვიდა „ოცნების" ამომრჩეველი თუ რას აკეთებდა და მიხვდა, რომ მარტო თავისი განწყობით თუ იმოქმედებს, ამით იმის საწინააღმდეგო პოლიტიკას მიიღებს, ვიდრე სურს, მხოლოდ ამის შემდეგ შეიწუხა თავი, გამოვიდა არჩევნებზე და შედეგი იყო მკაფიოდ განსხვავებული. აი, იმ პირველი ტურის მსგავსი შედეგის მიღება უნდათ ახლაც. ამიტომ, ეს ამომრჩეველი, რომელსაც არც ერთი არ მოსწონს, ძირითადად მუშაობს „ნაციონალურ მოძრაობაზე".

— მოხდა საკონსტიტუციო ცვლილებები, საარჩევნო კოდექსის ცვლილება, იმიტომ, რომ უკეთესი საარჩევნო გარემო შექმნილიყო და უფრო დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები მიგვეღო, მაგრამ როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი უზრუნველყოფს ორპოლუსიანობის დასრულებას, თუ მივიღებთ უფრო მრავალფეროვან პარლამენტს, როგორც ეს იდეაშია დაგეგმილი?

— მრავალფეროვნება იქნება, მაგრამ პოლუსების რა მოგახსენოთ. მრავალფეროვნება, თითო პარტიიდან თითო კაცი რომ იყოს მაშინაც იქნება, მაგრამ პოლუსი უკვე ძალამ უნდა შექმნას. ამ შემთხვევაში, ძალის მატარებელი არ იქნება ბევრი პარტია, ძირითადად ეს იქნება ისევ „ქართული ოცნება", ნაციონალურ ორბიტაზე მყოფი პარტიები და შეიძლება შეიქმნას მესამე ძალის ცენტრი, ვნახოთ, როგორ გადალახავენ ბარიერს და როგორი გადანაწილება იქნება, მე ვგულისხმობ „პატრიოტთა ალიანსს", „ლელო"-ს და იმ პარტიებს, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს მესამის როლში.

ესაუბრა
შორენა გონგლაძე

„სააკაშვილმა აღიარა მედვედევისადმი გაგზავნილი წერილის შესახებ, რომელშიც თურმე ნატოზეც უარს ამბობდა!"

(მესამე გვერდიდან)

საქართველოში ამას აღიქვამენ შიდა პოლიტიკურ საკითხად, სააკაშვილზე თუ ცუდად თქვი რამე, მისი პარტია ბრაზდება, თუ კარგად თქვი, სამაგიეროდ, სხვები ბრაზდებიან. სინამდვილეში, ეს საკითხი პარტიას არ ეხება. როცა სარკოზი ლაპარაკობს მიხეილ სააკაშვილზე, ის ლაპარაკობს საქართველოს პრეზიდენტზე, ანუ საქართველოს სახელმწიფოზე და ჩვენ გვაბრალებს ვითარების დაძაბვას. ეს არის ცუდი. სარკოზის მონათხრობში რაც აწყობთ, ის მოსწონთ და, რაც არ აწყობთ, არ მოსწონთ. პუტინი რომ პირჯვარს იწერდა სააკაშვილის ხსენებაზე, რატომღაც არავინ გააპროტესტა. რატომ იწერდა პირჯვარს, გაურკვეველია, ალბათ, ეშინია სააკაშვილის და პირჯვრის შემდეგ, ალბათ, ფუი ეშმაკსო, ამბობდა.

— სხვათა შორის, სარკოზის მემუარებში იყო თვითაღიარებებიც, რომ პუტინთან დადებითი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა აგვისტოს ომის პერიოდში. ეს ის სარკოზია, სააკაშვილი მოგვიანებით რომ ამბობდა, კლოუნივით დარბოდა, არაკომპეტენტური იყო, ცეცხლის შეწყვეტის გეგმა „მისტრალებზე" გაყიდა და ამერიკელები გვერდზე გასწიაო.

— ეს ახლა, თორემ ჩვენ თუ გავიხსენებთ 2008 წელს, მაშინ როგორც მხსნელს, ისე უყურებდნენ სარკოზის. რაზეა ლაპარაკი, როცა დღეს ამაზრზენ განცხადებებს ვისმენდი, რომ 7-ში რატომ არ ადიხართ მუხათგვერდში და რატომ ადიხართ 8-ში, სად არის 7 აგვისტოს საქართველოს ხელისუფლებაო? ვიდეოც გამოვაქვეყნე, როცა 2012 წელს პატრიარქთან ერთად 8 აგვისტოს არიან ასულები და წინა წლებშიც იმავენაირად 8-ში აღინიშნებოდა ეს მძიმე დღე. ამაზეც კი კინკლაობენ, გინდა 7-ში აღნიშნე ეს თარიღი, გინდა — 8-ში. კარგად მახსოვს, მუხათგვერდში პირველად 7 აგვისტოს ავიდნენ, როცა ხელისუფლება შეიცვალა, რომ „ქართულ ოცნებასთან" ერთად არ წასულიყვნენ და ერთი დღით დაასწრეს. ახლა დაავიწყდათ ეს ყველაფერი.

— დღემდე დავობენ, რუსეთისთვის ხომ არ იყო სასარგებლო სარკოზის ხელშეკრულება? თუ იმ თვითაღიარებიდან ამოვალთ, რომ სარკოზის აგვისტოს დღეებში პუტინის მიმართ ნდობა ჩამოუყალიბდა, მაშინ შეიძლება, კითხვები გაჩნდეს.

— რა თქმა უნდა, როცა ასეთი კრიზისის დროს შუამავლობას სწევს რომელიმე პოლიტიკოსი, საათობით უწევს პუტინთან საუბარი და აღწევს იმ შედეგს, რაც უნდოდა, ამ დროს ხდება დაახლოება. რუსეთს რაც უნდოდა, ის მიიღო. ახლა შეიძლება, სარკოზიმაც იტრაბახოს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცოდით, რომ რუსეთს ოკუპაცია უნდოდა მთლიანად. მერე რატომღაც ისე წავიდა საუბარი, რომ თბილისში სხვა პრეზიდენტები რომ იყვნენ, იმათ გადაგვარჩინეს, სინამდვილეში, მარტო იმათ არ გადაგვარჩინეს. თუ გადარჩენაზე იყო საქმე, სარკოზიმ ირბინა აქტიურად. ჩვენი ინტერესი მაშინ იყო ცეცხლის შეწყვეტა. რომ არ გვდომოდა სარკოზის დახმარება, მაშინ სააკაშვილი ეტყოდა, არ გვჭირდება თქვენი შუამავლობაო. თუ რუსეთის საქმეს აკეთებდა სარკოზი და არაკომპეტენტური იყო, მაშინვე უნდა დაენახა სააკაშვილს და მოეთხოვა სხვა შუამავალი. ან მეექვსე პუნქტი რომ ამოაღებინა და ძალიან გაუხარდა მედვედევს ამ პუნქტის ამოღება, რას გვიშლიდა ხელს ეს მუხლი, რომ საერთაშორისო ფორმატში გადაწყვეტილიყო ცხინვალისა და აფხაზეთის სტატუსი? ჩვენ ისედაც ვიყავით საერთაშორისო მოლაპარაკებებში, აბა, საიდან იდგნენ სამშვიდობო ძალები ცხინვალსა და აფხაზეთში? გავიყვანდით, როგორც მინიმუმ, ჩვენი კონტროლირებადი ტერიტორიიდან ამ ძალებს და შემდეგ გაგრძელდებოდა საერთაშორისო ფორმატში ამ რეგიონების სტატუსის გადაწყვეტა. თუ ამდენი წელია, არ ცნობს მთელი მსოფლიო დე ფაქტო რეგიონების დამოუკიდებლობას, იგივე მოხდებოდა ახლაც, უბრალოდ, მეტი ჩართულობა იქნებოდა, რაღაც ფორმატს შევქმნიდით. რუსეთს ვერ გაამართლებს ვერაფერი. რაც არ უნდა მომხდარიყო, 100%-ით ჩვენ რომ დაგვეწყო ომი, რუსეთს მაინც არ ჰქონდა იმის უფლება, რაც გააკეთა.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ლუკაშენკო 26 წელი+5...., პუტინი 20 წელი+ უსასრულობა!

„ევროპის უკანასკნელი დიქტატორი“ – ხშირად ასე მოიხსენიებს მსოფლიო თანამეგობრობა და დასავლური მედია ბელარუსის პრეზიდენტს ალექსანდრე ლუკაშენკოს, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებში კიდევ ერთხელ გაიმარჯვა და რომელიც უკვე 26 წელია, ძვეყანას მართავს.

ვინ არის ევროპის უკანასკნელი დიქტატორი?

ბელარუსის პრეზიდენტის ბავშვობაზე ბევრი არაფერია ცნობილი. საზოგადოებამ მხოლოდ ის იცის, რომ ლუკაშენკო მოგილიოვის ოლქის ერთ-ერთ სოფელში დედასთან იზრდებოდა და ოჯახში ერთადერთი შვილი იყო.

ლუკაშენკო პერიოდულად იხსენებს, რომ ბავშვობაში ბევრი რამ აკლდა და ფიზიკური მუშაობა უწევდა. მამაზე მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მეტყევე იყო. აღსაზრდელად რთული ბავშვი, სკოლაში ცუდად სწავლობდა. ბავშვობა სოფელ ალექსანდრიაში გაატარა, სადაც ადგილობრივ ბავშვებთან ერთად დადიოდა სკოლაში. მოგვიანებით, მოგილევსკის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე ჩაბარა. დიპლომის აღების შემდეგ, ქალაქ შკლოვის, საშუალო სკოლაში კომკავშირის კომიტეტის მდივნად დაინიშნა. სკოლაში რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ ჯარში გამოიძახეს. მომდევნო ორი წელი კგბ-ს სასაზღვრო ჯარში მსახურობდა. 1980 წელს მეორედ წავიდა არმიაში, სადაც მომდევნო ორი წლის განმავლობაში სატანკო საკითხების პოლიტიკურ ნაწილს ხელმძღვანელობდა.

1985 წელს, ბელარუსის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის დასრულების შემდეგ, მომავალმა პოლიტიკურმა ლიდერმა ეკონომიკურ საკითხებში დიპლომი აიღო, ამავდროულად, წარმატებით ხელმძღვანელობდა სახელმწიფო სასოფლო- სამეურნეო საწარმო „გოროდეცს“, სადაც ახალგაზრდა სპეციალისტის მომავალ პოლიტიკურ საქმიანობას ჩაეყარა საფუძველი.

პირველი ნაბიჯები პოლიტიკაში

ალექსანდრე ლუკაშენკოს საარჩევნო პროგრამა დაფუძნებული იყო კოლაფსის ზღვარზე მისული ეკონომიკის „გადარჩენაზე“.

ახალგაზრდა პოლიტიკოსმა გადაწყვიტა, სიტუაცია რამდენიმე მიმართულებით გამოესწორებინა – ის ხალხს დაჰპირდა, რომ სიღარიბისგან გადაარჩენდა, გაანადგურებდა მაფიას, შეამცირებდა ინფლაციას და აღადგენდა კავშირს რუსეთთან და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან. 1994 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 80%-ის მოპოვების შედეგად, ის ბელარუსის პირველი პრეზიდენტი გახდა.

პრეზიდენტობა უვადოდ

ლუკაშენკოს პრეზიდენტობის ვადა 1999 წელს იწურებოდა, მან საქმიანობა 2001 წლამდე გააგრძელა, ხოლო 2001 წელს მეორედ იქნა არჩეული. 2004 წლიდან მან ისევ დაიწყო საკონსტიტუციო ცვლილებაზე ფიქრი, რითაც მესამე ვადით პრეზიდენტობის უფლებას მოიპოვებდა. შედეგად, 2006 წელს მან არჩევნები მოიგო.

მიუხედავად იმისა, რომ ლუკაშენკოს მმართველობა არ მოსწონდა დასავლეთსა და საერთაშორისო თანამეგობრობას, მას თავისი პოლიტიკური მიმართულებიდან არ გადაუხვევია და როგორც განაცხადა, ქვეყნაში არ იქნებოდა „ფერადი რევოლუციები“ და „არ დაუშვებდა, რომ დასავლელ ბანდიტებს მის ქვეყანაში წესრიგი დაემყარებინათ“.

2006 და 2010 წელს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში კვლავ ლუკაშენკოს ხვდა გამარჯვება, 2010 წლის არჩევნები ტრადიციულად „გაყალბებულად“ ჩათვალა აშშ-მა, თუმცა ეუთომ აღნიშნა, რომ არჩევნები გამჭვირვალედ წარიმართა. 2011 წელს ქვეყანაში მძიმე სავალუტო კრიზისი დადგა. ამის ფონზე ლუკაშენკო არ ცნობდა ეკონომიკურ კრიზისს და არჩეული მიმართულებით აგრძელებდა მოღვაწეობას. 2015 წელს ის მეხუთედ გახდა ქვეყნის პრეზიდენტი. 2018 წლის აგვისტოში კორუფციის სკანდალის გამო, ლუკაშენკომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ანდრეი კობიაკოვი და სხვა თანამდებობის პირები გაათავისუფლა.

ლუკაშენკო და პუტინი

ალექსანდრე ლუკაშენკოს არაერთხელ უთქვამს ინტერვიუებსა და გამოსვლებში, რომ რუსეთთან აქვს არა მარტო პარტნიორული ურთიერთობა, არამედ მეზობლური და მეგობრული. მიუხედავად ამისა, 2016 წლიდან ბელარუსის პრეზიდენტის განცხადებებში ოდნავ ცვლილება დაიწყო. სწორედ იმ პერიოდში რუსეთთან დაკავშირებით, ლუკაშენკომ განაცხადა, ჩვენ ვართ ძმები, მაგრამ არ ვიქნებით რუსეთის ხელის ბიჭებიო.

2017 წელს მედიასთან ტრადიციულ შეხვედრაზე ლუკაშენკომ რუსეთი გააკრიტიკა და წლების წინ დადებული შეთანხმების დარღვევაში დაადანაშაულა. ამასთან, ლუკაშენკომ თავისი კოლეგა ვლადიმერ პუტინი, რომელიც ლუკაშენკოს მსგავსად პრეზიდენტობის რეკორდს ხსნის, მასზე ეკონომიკური ზეწოლის განხორციელებაში და მისი მეტოქე ოპოზიციური კანდიდატების მხარდაჭერაში დაადანაშაულა. ამას ემატება ისიც, რომ გასულ კვირას მინსკში 33 რუსი სამხედრო დააკავეს, რომლებიც, ოფიციალური ინფორმაციით, ქვეყანაში ტერორისტული თავდასხმის მოწყობასა და ამით პოლიტიკურ ცხოვრებაში დესტაბილიზაციის შეტანას აპირებდნენ. რუსეთის მტკიცებით, სამხედროები, რომლებიც მინსკში დააპატიმრეს, ლათინური ამერიკის ერთ-ერთ ქვეყანაში მიდიოდნენ და ბელარუსის ტერიტორიაზე უბრალოდ გავლით მოხვდნენ.

„ევროპის ბოლო დიქტატორი“ და მისი ოჯახი

ალექსანდრე ლუკაშენკოს სამი ვაჟი ჰყავს, რომლებიც პერიოდულობით სხვადასხვა ღონისძიებაზე მამის თანხლებით ჩნდებიან. ლუკაშენკოს ოფიციალური მეუღლე გალინა როდიონოვა შკლოვის პროვინციაში ცხოვრობს და არც ერთხელ არ წარუდგენიათ როგორც პირველი ლედი.

1994 წელს, როდესაც ლუკაშენკო პირველად გახდა პრეზიდენტი, მათ ოფიციალურად ორი შვილი ჰყავდათ. ვიქტორი მამის მრჩეველია ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში, ხოლო დიმიტრი სპორტული კლუბის ხელმძღვანელია. ალექსანდრ ლუკაშენკოს 7 შვილიშვილი ჰყავს.

2004 წელს ალექსანდრ ლუკაშენკოს მესამე ვაჟი შეეძინა. უმცროსი შვილის დედაზე ბევრი არაფერია ცნობილი, მხოლოდ ის, რომ იგი პროფესიით ექიმია. ლუკაშენკო შვილის მიმართ განსაკუთრებულ სიყვარულს არ მალავს. მეტიც, მან საკუთარი დაბადების დღე 24 საათით გადაიტანა და შვილის დაბადების დღეს დაამთხვია.

14 წლის კოლია წარმატებულად თამაშობს ჰოკეის და უკრავს ფორტეპიანოზე. კოლია ბავშვობის ასაკიდან დაჰყვება მამას საერთაშორისო ვიზიტებში. ლუკაშენკოს არაერთხელ უთქვამს, რომ მისი ვაჟები პრეზიდენტის პოსტის დაკავებაზე არ ფიქრობენ და შვილებს პრეზიდენტის ბედს არ უსურვებდა, თუმცა ბელარუსის მოსახლეობა სხვაგვარად ფიქრობს.

„მამამან“ ბელორუსისამ და „მამამან“ რუსეთისამ

ალექსანდრე ლუკაშენკო, პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთადერთი პრეზიდენტია, რომელიც ვლადიმერ პუტინზე მეტხანს მართავს საკუთარ ქვეყანას. ლუკაშენკოს ანგარიშზე ჯერჯერობით 26 წელია, პუტინის ანგარშზე კი – 20 წელი. თუმცა, ორივე ლიდერს ჯერ ყველაფერი წინ აქვს. თუ ჯანმრთელობამ და სიცოცხლის ხანგრძლივობამ ხელი შეუწყო, შეუძლიათ მუდმივი პრეზიდენტები იყვნენ.

ცნობისათვის: ვლადიმერ პუტინი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტად 2000 წელს მას შემდეგ აირჩიეს, რაც ქვეყნის მმართველმა ბორის ელცინმა 1999 წლის 31 დეკემბერს პრეზიდენტობის მანდატი დროზე ადრე შეიჩერა. ამის შემდეგ, რუსეთში პუტინის რეჟიმი დამყარდა და ქვეყნის ერთპიროვნულ მმართველად იქცა. ამ პერიოდის განმავლობაში, ვლადიმერ პუტინი ქვეყნის პრემიერ-მინისტრიც იყო. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პრეზიდენტად დიმიტრი მედვედევი იყო, რეალურად ქვეყანას პუტინი მართავდა, დღემდე ასე გრძელდება და გაგრძელდება მანამ, ვიდრე იცოცხლებს პუტინი.

ალექსანდრე ლუკაშენკო ჯერ მხოლოდ 66 წლისაა, ხოლო ვლადიმერ პუტინი – 68 წლის.

შეტაკებების შედეგად 3 ათასი ადამიანი დააკავეს

ბელარუსის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემებით, ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებზე ალექსანდრე ლუკაშენკოს ამომრჩეველთა 80.23%-მა დაუჭირა მხარი, ხოლო მის მთავარ მეტოქეს, სვეტლანა ტიხანოვსკაიას – 9.9%-მა. ყველა კანდიდატის წინააღმდეგ აკი ამომრჩეველთა 6.02% წავიდა. არჩევნებზე აქტივობამ 84.23% შეადგინა“. ბელარუსის ცესკოს ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ საბოლოო შედეგი წინასწარი მონაცემებისგან დიდად განსხვავებული არ იქნება.

ბელარუსში სამართალდამცველებმა საპრეზიდენტო არჩევნების წინასწარი შედეგების გამოცხადების შემდეგ ქუჩაში გასული დემონსტრანტების წინააღმდეგ წყლის ჭავლი და ხმოვანი ყუმბარები გამოიყენეს. ქვეყნის მასშტაბით დემონსტრანტებსა და სამართალდამცველებს შორის შეტაკებებს ჰქონდა ადგილი.

შეტაკებების შედეგად 3 ათასი ადამიანი დააკავეს. ბელარუსის პრეზიდენტობის კანდიდატმა სვეტლანა ტიხანოვსკაიამ განაცხადა, რომ ცესკოს მიერ გამოქვეყნებულ შედეგებს არ აღიარებს.

ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებმა დღესასწაულივით ჩაიარა და ვიღაცას ამ დღესასწაულის გაფუჭება მოუნდა.

„არჩევნები დღესასწაულია. ხალხი ბავშვებთან ერთად მოდიოდა. ვიღაცას ამ დღესასწაულის გაფუჭება მოუნდა. ჩვენ ისინი დავინახეთ. საზღვარგარეთიდან დავაფიქსირეთ ზარები: პოლონეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან და ჩეხეთიდან. ჩვენი ცხვრები იქიდან იმართებოდნენ“, – განაცხადა მან.

გოქსელ გენჩი – „თურქი ოსტაპ ბენდერი“(6)

მეხუთე წერილის გამოსვლისთანავე (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 21.-07.2020. №90) ჩვენი საგამოძიებო გუნდის წევრს ქეთევან ხომერიკს კვლავ დაემუქრნენ. ამჯერად მცხეთაში ყოფნის დროს მას დაურეკა ნაცნობმა და მესამე პირისგან, რომელიც არ გაუმხელია, გადასცა მუქარა. რასაკვირველია, შევხვდი ჩემს კოლეგას და გავესაუბრე:

— ქეთი, ვინ არის შენი ნაცნობი და რაზე გელაპარაკა?

— ამ ადამიანს ჯერ ვერ დავასახელებ. ვიყავი მცხეთაში, ის დამიკავშირდა ტელეფონით. გამიკვირდა, საიდან გაიგო, რომ მცხეთაში ვიყავი... გეტყვი, რომ ჩემი ნაცნობი მცხეთელია.

— ალბათ, დაგულისყურებულმა პირმა ინფორმაცია მიაწოდა.

— დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იყო. ახლა ნიშანდობლივ მუქარაზე. მან მითხრა: გავიგე, რომ შენ მონაწილეობ ერთ-ერთ ჟურნალისტურ გამოძიებაში და შეეხე ისეთ პირებს, რომლებმაც არ იციან დანდობა. შურს იძიებენ არა შენზე, არამედ შენს შვილებზე, რომ გაგამწარონ. ასეთი ხერხი აქვთო. მაგალითად, მომიყვანა ერთ-ერთი გახმაურებული ტრაგედია.შენ ხელს არავინ გახლებს, მაგრამ შენს შვილებს ნამდვილად შეეხებიან.

— მე აქ მუქარას ვერ ვხედავ. პირიქით, ადამიანი გაფრთხილებს, უნდა, რომ ხიფათს აგაცილოს.

— ზედაპირულად ასე ჩანს, მაგრამ საყურადღებოა, ვინ გადასცა მას ჩემზე ინფორმაცია. ამ ადამიანთან უკვე მრავალი წელია არ მაქვს არანაირი ურთიერთობა. თუ მას ჩემთვის დახმარება ან სიკეთე სურდა, მაშინ უნდა დაესახელებინა ნიშანდობლივ ვინ მემუქრება. მე შევეკითხე კიდეც, ვისგან გაიგე ეს-მეთქი. მიპასუხა, იმათგან ვინც შენი ქმარი ჩასვა ციხეშიო, ხოლო ვინ ჩასვა, აი, ამ მთავარ კითხვაზე პასუხი არ გამცა. ჩემი აზრით, ასეთი ქცევა ნიშნავს, რომ ეს ადამიანი შეკრულია იმ პირებთან, რომლებმაც ჩემი ქმარი გამოკეტეს საპყრობილეში და ასრულებდა მათ ბრძანებას. ჩვენი საუბარი დაასრულა შეგონებით : თუ არ მოეშვები ამ ხალხს, წავა მკვლელობები და სხვა უბედურება.

— ეს არის პირდაპირი მუქარა! რას ფიქრობ, ვისგან მოდის ეს მუქარა, ვინ არის ეს ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი?

— ჩემი ვარაუდით, ეს ადამიანია ზაქარია ქუცნაშვილი, მისი ოჯახი.

— ბოლო წერილის P.S.-ში მე ვახსენე ამ ოჯახის თავკაცი ომარ ქუცნაშვილი, რადგან „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ გამართულ ტენდერში გაიმარჯვა ჩემი ჟურნალისტური გამოძიების „გმირმა“, დიდი ალბათობით, საერთაშორისო თაღლითმა გოქსელ გენჩმა.

— ჰოდა, ამიტომ შეწუხდა ბატონი ომარი და მაქვს საფუძველი ვივარაუდო, რომ ეს მუქარა მათი შეკვეთილია. აქვე ვიტყვი, რომ ზაქარია ქუცნაშვილი იყო მცხეთა-მთიანეთის მაჟორიტარი დეპუტატი, ბავშვობა მცხეთაში აქვს გატარებული, ასე რომ, მას მცხეთაში ბევრი ნაცნობ-მეგობარი ჰყავს. ამიტომ მე დამინახეს მცხეთაში და, ვფიქრობ, შეატყობინეს ბატონ ზაქარიას; ყოფილმა დეპუტატმა კი, ეტყობა, უკეთესი ვერაფერი ვერ მოიფიქრა, რომ ამ ფორმით დავეშინებინე და „მედიუმად“ ჩემი მცხეთელი ნაცნობი გამოიყენა.

— შენს ვარაუდში ლოგიკა არის, რადგან მუქარის სამიზნეები, როგორც გოქსელ გენჩის შემთხვევაში, ისე ქუცნაშვილების „კლანისა“, არიან შენი მცირეწლოვანი ბავშვები. ეს ადასტურებს პირადად ჩემს ვარაუდს, რომ გოქსელ გენჩს და ომარ ქუცნაშვილს შორის არის რაღაც საქმიანი ურთიერთობა და, საერთოდ, არ არის გამორიცხული, რომ ბატონი ომარის დახმარებით და ხელშეწყობით გოქსელ გენჩმა გაიმარჯვა „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ გამოცხადებულ ტენდერში.

— ომარ ქუცნაშვილი ამ კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია, მაგრამ მის გარდა ხომ არიან იქ სხვა წევრებიც, როგორ გამორჩათ ეს თაღლითი მხედველობიდან, როგორ ვერ ჩასწვდნენ, თუნდაც, „გენჩ ინშაათი“-ს საბუთების შესწავლის დროს, რომ მის ე.წ. სამშენებლო კომპანიას გამოყენებული აქვს ყალბი საბუთები?! მაგალითად, ავიღოთ „სავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ აღმოჩენილი ყალბი საბუთები ტენდერში, სადაც ბატონმა გოქსელ გენჩთმა უკვე ნახევარი მექსიკაც „ააშენა“.

— გეთანხმები, ბატონ გოქსელს ეს სჩვევია. მაგალითად, შენი მეუღლის სისხლის სამართლის საქმეში პროკურატურის მიერ ჩადებული „აქტი“, რომლის მიხედვითაც გოქსელ გენჩმა და მისმა „რქებმა და ჩლიქებმა“, თურმე, ააშენეს ციმბირში 220-კილომეტრიანი გზის მონაკვეთი სურგუტიდან ნიჟნივარტოვსკამდე. ყველაზე კომიკური იყო ის, რომ ხსენებული „აქტი“ ხელმოწერილია რუსეთის ფედერაციის ტრანსპორტის სამინისტროსთან არსებულ „სტროი ფინანს გრუპ“-ს და გოქსელ გენჩის „გენჩ სტროი“-ს მიერ 2004 წლის 13 თებერვალს, ხოლო ხელმომწერის ერთ-ერთი მხარე — „გენჩ სტროი“ შეიქმნა 2005 წლის 5 მარტს. ანუ, ერთი წლის და 20 დღის შემდეგ. და ეს აბსურდი აღმოაჩინეს ჩვენმა მკითხველებმა, რომელთა შორის ყველაზე ხანდაზმული 84 წლისაა, ხოლო ყველაზე უმცროსი 19 წლის გოგონაა. გაოცებას იწვევს ფაქტი — ასეთი სიყალბე, როგორ გამორჩათ 2016 წლის მუნიციპალური განვითარების ფონდის „მგლებს“ — გამოცდილ იურისტებს, ანდა, პროკურატურის ისეთ აფთარს, როგორიც არის ქალბატონი სალომე ჩიქობავა. საით იყურებოდა „მგფ“-ის ხელმძღვანელობა და მისი იმდროინდელი არაფორმალური ლიდერი ჯუანშერ ბურჭულაძე, რომელიც დღეს მშვენივრად გრძნობს თავს თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე?.. მიკვირს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელის, ბატონი შოთაძის უმოქმედობა. პირადად მე რომ ვყოფილიყავი მის სავარძელში, ერთი წერილის საფუძველზეც კი მივცემდი მითითებას სათანდო დეპარტამენტს, რომ აღეძრათ სისხლის სამართლის საქმე გოქსელ გენჩზე, გენინსპექციას კი გამოეკვლია, ვინ ჩადო ყალბი საბუთი სისხლის სამართლის საქმეში და პირველი გამოეკითხათ საქმის პროკურორი სალომე ჩიქობავა.

— ზუსტად, ამ „აქტს“ თავისი აბსურდულობით არაფრით ჩამოუვარდება მეორე „აქტი“, რომელიც გოქსელ გენჩის „გენჩ სტროიმ“ დადო „სტროი ფინანს გრუპ“-თან. მასში აღნიშნულია, რომ 2010 წელს კალუჟსკაიას ავტომაგისტრალის 29 კილომეტრი კვლავ ბატონ გენჩს „აუშენებია“. თავის მხრივ „სტროი ფინანს გრუპ“-ი გაოცებულია „გენჩ სტროი“-ს ასეთი სიცრუით. გოქსელ გენჩის „გენჩ ინშაათის“ არაკეთილსინდისიერება უკვე დადასტურებულია რუსეთის ფედერაციის ტრანსპორტის სამინისტროს მიერ საქართველოს „საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ თხოვნით. რაც შეეხება პროკურატურას, შეტანილი მაქვს სწორედ ამ ორი მოთხოვნით არაერთი განცხადება. თუმცა, დღეს გენერალური პროკურატურა მთელი თავისი შემადგენლობით შვებულებაშია... ორიოდე დღის წინ დავუკავშირდი გამომძიებლებს ირაკლი ცანავას და გიორგი რამიშვილს, რომლებიც ასევე, შვებულებაში იმყოფებიან და მაქვს მხოლოდ მათი სატელეფონო დაპირება, რომ საქმეს მიუკერძოებლად შეისწავლიან. აქვე მინდა, მადლობა გადავუხადო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის მთელ კოლექტივს, რომ ჩვენს საგამოძიებო ჯგუფს მხარში ამოუდგა. ზუსტად ამ გაზეთის პრინციპული და თანმიმდევრული პოზიციიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ბოლოს და ბოლოს, ყურად იღო ჩვენი გაკვირვება და გოქსელ გენჩის გამოგზავნილ მუქარის ფაქტზე გამომკითხა.

— მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ უდგას უწყებას სათავეში. 2016 წელს ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრი იყო ბატონი ნოდარ ჯავახიშვილი და „მგფ“-ი მიაბარა, და ეს აშკარაა, არაპროფესიონალ ადამიანებს, რომლებიც გახდნენ ყველა ჯურის თაღლითების საბურთაო ობიექტი. მაგალითად, გოქსელ გენჩმა „თავის დაკრულზე“ აცეკვა „მგფ“-ის სატენდერო კომისია და ისე აცეკვა, რომ ბატონმა ბურჭულაძემ თაღლითი გოქსელ გენჩის ნაამბობის საფუძველზე, უჩივლა პროკურატურაში საქართველოს მოქალაქეს. მისი ხელშეწყობით შენი მეუღლე 8 წლით გამოკეტეს ციხეში. ახლა, როგორც ჩანს, სამინისტროში სულ სხვა ვითარებაა. მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა კარგი კოლექტივი ჩამოაყალიბა. დეპარტამენტების სათავეში დგანან სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები, რომლებისთვისაც საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟი უმთავრესია. შედეგმაც არ დააყოვნა, გოქსელ გენჩი შეყვანილია „შავ სიაში“, რომელშიც დარწმუნებული ვარ, სხვა თაღლითებიც იმყოფებიან. აი, კიდევ ახალი გამარჯვება თაღლითობაზე — ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პრინციპულობამ „დაფნის გვირგვინი“ ჩამოხსნა გოქსელ გენჩის, როცა „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ გამოცხადებული ტენდერის გამარჯვებული „გენჩ ინშაათი“ სამარცხვინოდ გამოაპანღურეს ტენდერიდან. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბატონ გენჩის „რქების და ჩლიქების“ კრახი დაემთხვა ზაქარია ქუცნაშვილის დათხოვნას პარლამენტიდან. როგორც ჩანს, „გენჩ ინშაათ“-მა მძიმე დანაკლისი განიცადა და მას პატრონი აღარ ჰყავს.

— აღმაშფოთებელია, რომ ეს გოქსელ გენჩი საქართველოს მოქალაქეც ყოფილა, და ეს მაღალი წოდება მას და მის დას მიანიჭა მიხეილ სააკაშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთმა მათგანმა არ იცის ქართული ენა, საქართველოს ისტორიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, და არავითარი დამსახურება საქართველოს წინაშე ამ და-ძმას არა აქვთ!

— სააკაშვილის დროს ბევრ უცხოელ ვიგინდარას, განსაკუთრებით თურქეთიდან, მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა და თუ ჩვენ გავიხსენებთ, რომ გოქსელ გენჩს სავარაუდოდ ჰქონდა შეხება საერთაშორისო ტერორისტებთან და ვვარაუდობ, მისი რუსთავის მისამართი დაკავშირებულია გიულენის (ფეტოს ორგანიზაციის) წევრებთან, ბევრი რამ გასაგები ხდება. მიხეილ სააკაშვილის დედა, თურქოლოგი გიული ალასანია მეგობრობდა გიულენთან. ეს ფაქტი მაფიქრებინებს, რომ და-ძმა გენჩებს განსაკუთრებული დამსახურება აქვთ გიულენის წინაშე და, აქედან გამომდინარე, ჩავთვალოთ, ქალბატონი ალასანიას წინაშეც. ამ ქვეყნად არაფერია შემთხვევითი!..

— გეთანხმები, ამ და სხვა ფაქტებს თურქეთის რესპუბლიკის შესაბამისი უწყებები გამოიკვლევენ. ჟურნალისტური გამოძიება გრძელდება!

გიორგი კორძაძე

კრიპტო ციებ-ცხელება სოხუმში

ბოლო 6 თვეში აფხაზეთში 100 ახალი კრიპტოფერმა გაიხსნა

აფხაზეთში ნამდვილი კრიპტო ციებ-ცხელებაა. ეს ძალიან მარტივად აიხსნება — კერძოდ კი, ელექტროენერგიაზე ფანტასტიკურად დაბალი ტარიფებით.

ერთი კილოვატი ელექტროენერგია აფხაზეთში 1 ცენტზე ოდნავ მეტი ღირს — დანარჩენი მსოფლიოსთვის წარმოუდგენელი ფასი. გასაგებია, რომ ის კრიპტოფერმებს იზიდავს, და მათი რაოდენობა მუდმივად იზრდება — მხოლოდ ბოლო 6 თვეში აფხაზეთში 100 ახალი კრიპტოფერმა გაიხსნა, ჯამურად კი მათი რაოდენობა 8000-ს აღწევს.

ისინი მიტოვებულ შენობებში, ფარეხებში, კერძო სახლებში და ბინებში მუშაობენ, და მათი დიდი ნაწილი ელექტროენერგიის საფასურს ან არასრულად იხდის, ან საერთოდ არ იხდის.

დღეს, აფხაზეთში „კრიპტოვალუტა“ საგინებელ სიტყვად იქცა, თუმცა, პირველ რიგში საზოგადოებას პრეტენზიები არა მომპოვებლებთან, არამდე ხელისუფლებასთან უნდა ჰქონდეს.

კრიპტოვალუტის მასობრივი მოპოვების მთავარი პრობლემაა შესაბამისი ენერგეტიკული პოტენციალის არარსებობა.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის ენერგომომარაგების მთავარი წყარო ენგურჰესია, თუმცა ყველასთვის ცალსახაა, რომ გაზრდილი მაინინგის პირობებში, ეს რაოდენობა უკვე საკმარისი არაა.

ომის დასრულების შემდეგ საქართველო და აფხაზეთი შეთანხმდნენ ენერგიის გაყოფაზე - 40-60-ზე პრინციპით. პირველ წლებში აფხაზეთი თავის 40%-ს არასრულად ითვისებდა, თუმცა, წლების შემდეგ ენერგომოხმარება გაიზარდა. ამის მიზეზია ცხოვრების დონის ამაღლება, ბევრი მცირე და ოჯახური სასტუმროს აშენება, მოძველებული ინფრასტრუქტურის გამო დანაკარგების ზრდა, და — უკვე ბოლო წლებში — კრიპტოვალუტის მაინინგი.

ასე ენერგოდეფიციტიც წარმოიქმნა, და აფხაზეთი იძულებული გახდა რუსეთისგან ენერგის შესყიდვები დაეწყო.

2019 წელს მთავრობამ კრიპტოფერმები აფხაზეთში აკრძალა, თუმცა, ამან არაფერი შეცვალა — ფერმები არათუ არ დაიხურა, არამედ მრავლდება.

აფხაზეთის საბაჟო სამსახურის უფროსის გურამ ინაფშბას თქმით, საჭიროა არა მხოლოდ ფერმების საქმიანობის, არამედ მაინინგისთვის საჭირო აღჭურვილობის შემოტანის აკრძალვა.

„კომიკურ სიტუაციაში ვართ - მაინინგი აკრძალულია, მაგრამ აღჭურვილობის შემოტანა არა. გამოდის, რომ დანადგარები უპრობლემოდ შემოაქვთ, ფერმებს ხსნიან, და სწორედ ამ ბოლო ეტაპზე აკრძალვა მოქმედებას იწყებს. ასე შედეგს ვერ მივიღებთ“, — განაცხადა მან.

თუმცა, სავარაუდოდ პარლამენტი და მთავრობა, სადაც კრიპტოფერმებს მძლავრი მფარველები ჰყავთ, ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებენ. ასე რომ, ადრე თუ გვიან, ენერგოდეფიციტის პრობლემა აფხაზეთში კიდევ უფრო გამწვავდება, და საბოლოო ჯამში კრიპტოფერმების თავხედობის გამო ფულს გადახდა საკუთარი ჯიბიდან რიგით მომხმარებლებს მოუწევთ.

EKHOKAVKAZA.COM

◎ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲬᲘᲒᲜᲘ

ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ

რᲐᲝᲓᲔᲜ გულდასაწყვეტიც არ უნდა იყოს, დღევანდელ სამყაროში, როდესაც ინფორმაციაზე წვდომა თავისუფალი და ცოდნის ხელმისაწვდომობაც უპრეცედენტოდ გაზრდილია — ჩვენი რეალობა საწინააღმდეგოს „ღაღადებს“.

საზაფხულო აქციებისა და განახევრებული ფასების მიუხედავად, წიგნი ხშირ შემთხვევაში კვლავ ფუფუნების საგნად რჩება ბევრი მონდომებული ახალგაზრდისა თუ სტუდენტისათვის.

საბედნიეროდ, ამ მიმართულებით ყინული დაიძრა და რამდენიმე ქართულენოვანი ელექტრონული რესურსიც გაჩნდა, რომლებიც მკითხველს უფასო ელექტრონულ წიგნებს სთავაზობენ — ბუნებრივია, წიგნის ავტორთა კეთილ ნების გათვალისწინებით.

ამ სულისკვეთებას ხანგრძლივი პედაგოგიური გამოცდილების მქონე ბატონი აკაკი მუმლაძეც იზიარებს და თავისი ახლადგამოცემული სახელმძღვანელოც — „თარგმანში რომ არ დავიკარგოთ“ დიდი სიამოვნებითა და ენთუზიაზმით განათავსა თავისუფალი წვდომის რეჟიმში შესაბამის ელექტრონულ რესურსებზე: www.lit.ge/akakimumladze და www.eon.ge/ წიგნების არქივი.

„თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ თანამიმდევრულად მიმოიხილავს თარგმნის, როგორც რთული კოგნიტიური

და შემოქმედებითი პროცესის საფუძვლებს, მის სპეციფიკას; იმ სირთულეებს, რომლებიც ამ პროცესს სდევს თან. იგი ეყრდნობა თარგმნის თეორიის ქართველ და უცხოელ მკვლევართა ფუნდამენტურ კვლევებსა და მონოგრაფიებს. აღნიშნული სახელმძღვანელო, რომელიც ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი, მოკლედ და ამასთანავე, სიღრმისეულად აწვდის მათ თარგმნის ხელოვნების თეორიულ საფუძვლებს; საქართველოში თარგმნის ისტორიის ექსკურსს. წიგნი გაჯერებულია მრავალი ღირებული რჩევით, რომელიც დაეხმარება მთარგმნელებსა და თარჯიმნებს, წარმატებით გაართვან თავი პროფესიულ საქმიანობას და აიცილონ მოსალოდნელი სირთულეები და ჩავარდნები.

„თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ ლაკონურად გადმოგვცემს ყველა იმ ლინგვისტურ ასპექტს, რომლის ცოდნაც მომავალი მთარგმნელებისთვის აუცილებლობაა; ესენია: ლექსიკა, გრამატიკა, ფონეტიკა, ორთოგრაფია. ყველა ამ მიმართულებით ავტორი მკითხველს ლინგვისტური მასალის მეორე ენაზე გადატანისთვის აუცილებელ რჩევებსა და მითითებებს სთავაზობს, ხაზს უსვამს ტიპურ შეცდომებს და ყველა მოსაზრებასა და დებულებას ამყარებს ზუსტად და რელევანტურად შერჩეული საილუსტრაციო მასალითა და მაგალითებით. წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მხატვრული ტექსტის სპეციფიკას, მისი თარგმნის თავისებურებებსა და რეკომენდაციებს ამ მიმართულებით.

აკაკი მუმლაძის „თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ ლინგვისტურად უაღრესად დახვეწილი და გამართული, ინფორმაციულად ტევადი, სტუდენტის კომპეტენციასა და საჭიროებებს მისადაგებული სახელმძღვანელო, რომელიც საიმედო მეგზურად გამოადგება ნებისმიერ მთარგმნელს; ამასთან, არა მხოლოდ ახალბედას — არამედ გამოცდილ პროფესიონალსაც.

ᲚᲘᲐ ᲗᲝᲓᲣᲐ,

განათლების მეცნიერებათა დოქტორი

◎ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

„ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲘᲗ“ ᲒᲘᲮᲛᲝᲑᲗ!

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲘᲡ“ რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში.

საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით: ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა და დევიზი; მეორე კონვერტით — ავტორის გვარი, სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი და დევიზი (კონვერტზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოს და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘ:

გრან პრი — საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსაგან;

პირველი პრემია — 1500 ლარი — ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისაგან;

მეორე პრემია — 600 ლარი — კერძო პირ ელდარ ალიევისაგან;

მესამე პრემია — 500 ლარი — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტისაგან;

ᲡᲐᲛᲪᲮᲔ-ᲯᲐᲕᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ.

გამარჯვებულებს პრემიები გადაეცემათ „პოეზიის დღე — შოთაობაზე“ სოფელ რუსთავში.

საკონკურსო ლექსები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ გამოუქვეყნებელი, ნაბეჭდი ფორმით (არაუმეტეს 5 ლექსისა), ხელნაწერი არ მიიღება.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2020 წლის 10 სექტემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქუჩა № 3. გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია. საკონტაქტო ტელ. 5 99 97 95 24

მთავარი რედაქტორი

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ

„ᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝ“ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲘᲙᲠᲔᲑᲡ...

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ დღის წინათ ქართული მხატვრული სიტყვის ტრფიალებმა დიდებული საჩუქარი მიიღეს — საგაზეთო დახლებსა და ჯიხურებში მწერალთა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „სხვა დროს“ მე-2, 2020 წლის იანვარი-თებერვალი-მარტის ნომერი გამოჩნდა.

ახალი ლიტერატურული ჟურნალის მთავარი რედაქტორი, როგორც ადრეც ვიუწყებოდით, პოეტი, ესეისტი და კინოდრამატურგი **კობა არაბული** გახლავთ, გამოცემის შემოქმედებითი კრედო კი, როგორც თავფურცელზეა აღნიშნული, დროთა და მოვლენათა ცვლის ასახვა, ასევე სამწერლო-სახელოვნებო და საკრალური ცოდნის მკითხველთათვის გაზიარებაა.

წლეულს, საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი და უწარჩინებულესი მეფე ერეკლეს დაბადებიდან 300 წლისთავი აღინიშნება, ამდენად ჟურნალის გახსნა მისდამი მიძღვნილი თუნდაც მცირედი წერილით, სავსებით სამართლიანია. ერთობ საგულისხმოა მას მოყოლებული დიდი რუსი ფილოსოფოსის ნიკოლაი ბერდიაევის ესეი კულტურის შესახებ.

მკითხველის ყურადღებას უთუოდ მიიქცევს გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს გამოქვეყნებული ივანე წიკლაური-კიბალაურის გასაოცარი ლექსი „სიზმარში მკითხეს ამბავი“, რომელიც ჯერ კიდევ 1979 წელს ხალხური შემოქმედების ცნობილ ერთ-ერთ საღამოზე საზოგადოებას ბატონმა ვახუშტი კოტეტიშვილმა გააცნო. ის ერთგვარად „ხსნის“ ჟურნალის რუბრიკას „პოეზიის საიდუმლო კარი“, რომელშიც კობა (იაკობ აბა)არაბულის, ტიციან ტაბიძის, შოთა ნიშნიანიძის, გაბრიელ ბაღდავაძის, ედუარდ უგულავას, ჯუბა ღებელის ლექსებია დაბეჭდილი.

ჟურნალის ახალ ნომერში განსაკუთრებული ადგილი უკავია გრიგოლ რობაქიძის ესეის „ივანე ჯავახიშვილი“ და ფრაგმენტს მეორე წერილიდან „ვაჟას ენგადი“, რუბრიკაში „მემუარები“ მეტად საგულისხმოა რეზო კვესელავას „ამბები მარტვილის თემის ისტორიიდან“. უაღრესად საინტერესოდ წერს კაცობრიობის წინაშე სულიერი მისიის არსებობის შესახებ ქართველთა ღრმა რწმენაზე მედიცინის დოქტორი თამაზ ფირცხალავა. როგორც ყოველთვის, არაჩვეულებრივი ხიბლი აქვს გურამ პეტრიაშვილის ზღაპარს „ნაღვლიანი კლოუნი“ და ვანო ჩხიკვაძის მოთხრობას „ინანიშვილის გმირები“. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ჟურნალის ახალ ნომერში თავად რეზო ინანიშვილის მოთხრობა „კაცებიცაა“ დასტამბული.



ჟურნალ „სხვა დროს“ მე-2 ნომრის ავტორთა შორის აგრეთვე არიან მწერალ-ეთნოლოგი გიორგი (ნაპო) კაკრიაშვილი, პროფესორი ლევან თორთლაძე, ირაკლი ვაშაყმაძე, გიორგი ცოცანაძე, ფილოლოგიის დოქტორი ნატო ყრუაშვილი, მწერალი, ფილოსოფიის დოქტორი აკაკი გასვიანი, ისტორიკოსი, ხრიდოლის ფედერაციის დარბაზის თავი ნუკრი მჭედლიშვილი. ასევე უთუოდ ცალკეა აღსანიშნავი დიდი გერმანელი მწერლის, ლიტერატურაში ნობელის პრემიის ლაურეატის ჰაინრიხ ბიოლის ნოველის „რაღაც მოხდება“ თარგმანი.

გარდა ამისა, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია იუწყება სხვადასხვა მხარეში ეროვნული კულტურისა და ტრადიციების დამცავი ცენტრების — აკადემიის ფილიალების შექმნისა და მათი ხელმძღვანელების დანიშვნის თაობაზე.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია და პირადად ამ სტრიქონების ავტორი გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ მწერალთა ეროვნულ აკადემიას და ჟურნალ „სხვა დროს“ სამხატვრო საბჭოს სამადლობელი სიტყვებისთვის, ჩვენ მიერ გამოთქმული თანადგომის გამო.

ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

კონფლიქტი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის: ვინ ვის და რაში აღანაშაულებს?

აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვარზე შეტაკებები ფაქტობრივად აღარ გრძელდება, რეგიონში კი ვითარება ისევ დაძაბულია. 12 ივლისიდან, სამი დღის განმავლობაში, ორი ქვეყნის სამხედრო შენაერთებს შორის დაპირისპირება მძიმე სამხედრო ტექნიკის გამოყენებით მიმდინარეობდა, რის შედეგადაც 17 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის – მშვიდობიანი მოქალაქეები. ბოლო შეტაკება 22 ივლისს აღინუსხა. ორივე მხარე ერთმანეთს მძიმე ბრალდებებს უყენებს. Deutsche Welle თითოეული მათგანის პოზიციებს გაეცნო.

ვინ როგორ ხსნის ესკალაციის მიზეზებს?

სომხეთის **წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სიტუაცია მას შემდეგ გამწვავდა, რაც 12 ივლისს აზერბაიჯანელი მესაზღვრეების კუთვნილი ავტომობილი სომხეთის მიერ კონტროლირებად ზონაში შეიჭრა. ოფიციალური ერევანი ირწმუნება, რომ იძულებული იყო თავისი ტერიტორია დაეცვა. ბაქოში კი აცხადებენ, რომ საზღვარი ჯერ კიდევ არ არის დემილიტარიზებული, შესაბამისად, არანაირი შეჭრა არ ყოფილა და ყველაფერი, რაც მოხდა, სომხეთის მორიგი „პროვოკაციაა“.**

ერევანში ამ ინციდენტს „გაეროს, ეუთოსა და ევროსაბჭოს წევრი ქვეყნის სუვერენული ტერიტორიის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიასა“ და „უპატიებელ შეცდომას“ უწოდებენ. ამის შესახებ Deutsche Welle-ს სომხეთის რესპუბლიკის ნაციონალური ასამბლეისა და საგარეო პოლიტიკის მუდმივმოქმედი კომისიის წევრმა ანუშ ბეგლოიანმა განუცხადა.

აგრესიის ბრალდებას ბაქოში კატეგორიულად უარყოფენ. **„ნებისმიერი სამხედრო ოპერაცია საზღვარზე ჩვენს ინტერესებს ეწინააღმდეგება“,** – განაცხადა Deutsche Welle-სთან ინტერვიუში აზერბაიჯანის პრეზიდენტის თანაშემწემ ჰიკმეთ გაჯიევმა.

მისი თქმით, სომხეთი „იმედოვნებდა, რომ კონფლიქტის ახალ კერას შექმნიდა“, რათა „ყურადღება გადაეტანა სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირების ძირითადი არსიდან, რაც მთიანი ყარაბაღისა და აზერბაიჯანის შვიდი რეგიონის ოკუპაციით არის განპირობებული“. აზერბაიჯანის პრეზიდენტის თანაშემწის აზრით, ერევანი უპირატესობის მიღწევას „კონფლიქტში მესამე მხარის ჩართვით“ ცდილობს. ამ შემთხვევაში გაჯიევი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას გულისხმობს.

„სომხეთისთვის უფრო მომგებიანია კონფლიქტის გადატანა საზღვარზე, ვიდრე ყოფილი მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მიმდებარედ, რადგან სომხეთი იმედოვნებს, რომ შეძლებს კონფლიქტში კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ჩართვას, თუ შეიარაღებული კონფლიქტი სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე იქნება,“ – აცხადებს აზერბაიჯანელი პოლიტოლოგი არაზ ასლანლიც. საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული კვლევების კავკასიის ცენტრის ხელმძღვანელი.

ბაქოში დარწმუნებული არიან, რომ ეს გეგმა ჩაიშალა. **„კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში არავინ მოისურვა ამაში ჩართვა“,** – განუცხადა DW-ს პოლიტოლოგმა და საკონსულტაციო კომპანია Strategic Consultancy Group-ის ხელმძღვანელმა ფარხად მამედოვმა. 12 ივლისს სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე მომხდარ ინციდენტს ერევანში განსხვავებულად ხსნიან. სომხური მხარე დარწმუნებულია, რომ ამით აზერბაიჯანმა ღიად დააფიქსირა თავისი პრეტენზია არა მხოლოდ მთიან ყარაბაღზე, არამედ თავად სომხეთზეც. **„ამ ქმედებების ახსნა უნდა ვეძებოთ არა მხოლოდ აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ანტისომხურ რიტორიკაში, არამედ კონკრეტულ ტერიტორიულ პრეტენზიებში, მათ შორის, სომხეთის დედაქალაქ ერევანზე“,** – დარწმუნებულია ანუშ ბეგლოიანი.

რეგიონული პრობლემების მიმართულებით მომუშავე სომეხი ექსპერტის მანველ გუმაშიანის აზრით, აზერბაიჯანის ხელისუფლებას „არასდროს დაუმალავს, რომ მას აქვს პრეტენზია არა მარტო მთიან ყარაბაღზე, არამედ მთელ სომხეთზე მისი დედაქალაქის ჩათვლით“. 2018 წლის თებერვალში აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა: **„ერევანი არის ჩვენი ისტორიული ტერიტორია და ჩვენ, აზერბაიჯანელები, ამ ისტორიულ მიწაზე უნდა დავბრუნდეთ!“.**

რა ძირითადი დაბრკოლებები არსებობს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესში?

სომხეთ-აზერბაიჯანის **საზღვარზე მომხდარმა ივლისის შეტაკებებმა, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით წარმართულ მოლაპარაკებების პროცესზე, რა თქმა უნდა, უარყოფითი გავლენა იქონია. თუმცა პრობლემები ივლისის ესკალაციამდე დაიწყო. საერთაშორისო შუამავლების სამიტი, რომელსაც ეუთოს მინსკის ჯგუფი სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენელთა მონაწილეობით ატარებდა, 2017 წლიდან არ გამართულა.**

სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა განაცხადა, რომ ერევანი „კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიზნით, ეუთოს მინსკის ჯგუფის წარმომადგენლებთან თანამშრომლობას გააგრძელებს“. თუმცა სომხეთი ამ პროცესში მთიანი ყარაბაღის ხელისუფლების ჩართვას დაჟინებით მოითხოვს. **„არცახის (მთიანი ყარაბაღი) მოსახლეობის ბედი არ შეიძლება მათი მონაწილეობის გარეშე გადაწყდეს,“** – განუცხადა DW-ს სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა ანა ნაღდალიანმა. მან გაიხსენა, რომ ადრე მთიანი ყარაბაღის ხელისუფლება მოლაპარაკებებში ჩართული იყო და დასძინა, რომ მათი მონაწილეობა **„მოლაპარაკებებისა და სამშვიდობო პროცესის არსიდან გამომდინარეობს“.**

ამ პირობას აზერბაიჯანი კატეგორიულად ეწინააღმდეგება. **„ჩვენ არ შეგვიძლია ყარაბაღი მოლაპარაკების მაგიდასთან მოვიწვიოთ, რადგან ეს სამშვიდობო პროცესს საუკუნის მეოთხედით უკან დააბრუნებს,“** – აცხადებს პოლიტიკური კონსულტანტი ფარჰად მამედოვი. მას მხედველობაში აქვს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1994 წლის შეთანხმება, რომელსაც სომხეთის, აზერბაიჯანისა და თვითგამოცხადებული მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი. ბაქოში დარწმუნებული არიან, რომ ეს პირობა ოფიციალური ერევნის მხრიდან სამშვიდობო მოლაპარაკებების ბოროტად გამოყენებაა. იმის ნაცვლად, რომ **„განხილულ იქნას ძირითადი პრობლემები: ტერიტორიის დაბრუნება, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება,“** – აცხადებს DW-სთან ინტერვიუში ჰიკმეტ გაჯიევი.

მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების მთავარ ბარიერად ოფიციალური ბაქო იმ ფაქტს მიიჩნევს, რომ სომხური მხარე **„მთიან ყარაბაღს სომხეთად თვლის“. „მოლაპარაკებების კუბოში ბოლო ლურსმანი სომხეთის პრემიერ-მინისტრმა თავად ჩააჭედა როდესაც თქვა, რომ მთიანი ყარაბაღი სომხეთია. ეს აზერბაიჯანის ტერიტორიის ღია ანექსიაა,“** – განაცხადა ილჰამ ალიევის თანაშემწემ ჰიკმეთ გაჯიევმა.

ბაქოში დარწმუნებული არიან, რომ ერევანი სამშვიდობო პროცესს აწარმოებს და მხარს უჭერს ერთადერთი მიზნით – აზერბაიჯანის ხელისუფლებას არაფერი დაუთმოს. გაჯიევმა სომხეთის პოზიციას თვალთმაქცობა უწოდა: **„ერთი მხრივ, ისინი მშვიდობაზე საუბრობენ, მაგრამ საკუთარი ქმედებებით ამტკიცებენ, რომ მოლაპარაკებების პროცესით დაინტერესებული არ არიან“.** აზერბაიჯანის აღშფოთება სომხეთსა და მთიან ყარაბაღს შორის ახალი გზის მშენებლობის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ გამოიწვია.

ერევანში ბაქოს პოზიციას „მაქსიმალისტური“ უწოდეს. **„აზერბაიჯანული მხარის გაგებით, სამშვიდობო პროცესი კონკრეტულად მათ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. რადგან ეს ასე არ ხდება, აზერბაიჯანული მხარე მოლაპარაკებების პროცესისა და მინსკის ჯგუფის მუშაობის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამს“,** – აცხადებს ანა ნაღდალიანი.

ვინ რას იმუქრება ესკალაციის ფონზე?

აზერბაიჯანი **კონფლიქტის მოგვარების პროცესით იმედგაცრუებას არ მალავს. „30-წლიან ოკუპაციასა და მილიონ ლტოლვილს არც ერთი ქვეყანა არ მოითმენს“,** – განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტის თანაშემწემ ჰიკმეთ გაჯიევმა. ილჰამ ალიევის ბოლოდროინდელი განცხადებების კომენტირებისას (აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ორ მეზობელ ქვეყანას შორის ომის ხელახლა დაწყების შესაძლებლობებზე ისაუბრა), გაჯიევმა დაადასტურა, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ღია ომის განახლების „მაღალი ალბათობა“ არსებობს.

„ამ საკითხისადმი აზერბაიჯანის მიდგომა ასეთია: ჩვენ მშვიდობიან გზას ვეძებრობით. თუმცა ამ გზის ბოლო უნდა ჩანდეს, ეს გზა შედეგს უნდა იძლეოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სამხედრო დაპირისპირება გარდაუვალი იქნება“, – ასე აყალიბებს ოფიციალური ბაქოს პოზიციას პოლიტოლოგი არაზ ასლანლი.

ივლისის ესკალაციის შემდეგ ორივე ქვეყნის კრიტიკულ ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე სამხედრო შეტევების შესაძლებლობის საჯარო განხილვები დაიწყო. კერძოდ, აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს პრესმდივანმა ვაგიფ დარგიაჰლიმ მეწამორის ატომური ელექტროსადგურის სამხედრო შეტევაზე ისაუბრა. ამის საპასუხოდ, სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა თქვა, რომ ეს განცხადება **„სერიოზული საერთაშორისო გამოძიების საგანი უნდა გახდეს, რადგან ის აზერბაიჯანის, როგორც ტერორისტული სახელმწიფოს არსს გამოხატავს“. დეპუტატ ანუშ ბეგლოიანის თქმით კი, სომხეთის პარლამენტმა „არაადეკვატური ადამიანების თვითმკვლელ განცხადებებზე“ კომენტარისგან თავი შეიკავა.**

აზერბაიჯანის პრეზიდენტის თანაშემწე გაჯიევი DW-სთან საუბარში ხაზს უსვამს, რომ მეწამორის ატომურ ელექტროსადგურზე შესაძლო სამხედრო იერიშის შესახებ გაკეთებული განცხადება „აზერბაიჯანის ოფიციალურ პოზიციას არავითარ შემთხვევაში არ ასახავს და ეს ერთერთი ოფიცრის პირადი აზრი იყო“.

თავის მხრივ, მეზობელი ქვეყნის სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე დარტყმის შესაძლებლობას ოფიციალურად სომხეთშიც უარყოფენ. აზერბაიჯანში არსებულ პოტენციურ სამიზნეებს შორის კი ექსპერტები მინგეჩაურის წყალსაცავის კაშხალს, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გამავალ სხვადასხვა დიდ ნავთობისა და გაზსადენების მილებს ასახელებენ. მათ შორის არის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადებები

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის (F-4) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია მოქალაქეების კუკური თაბაგარის (პ/ნ 18001045357), ჯონი თაბაგარის (პ/ნ 18001045379) და თეა წიქარიშვილის (პ/ნ 57001000812) თანასაკუთრებაში არსებული, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ილემში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.17.32.001) მთლიანი ფართობი 2849 კვ.მ. მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და ნარგავები (შემდგომში - თანასაკუთრებაში არსებული საექსპროპრიაციო ქონება).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ ასევე მოექცა მოქალაქე კუკური თაბაგარის (პ/ნ 18001045357) საკუთრებაში არსებული, შემდეგი უძრავი ქონება: 1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძირულაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.17.32.029) მთლიანი ფართობი 377 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა; 2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძირულაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.17.32.030) მთლიანი ფართობი 4623 კვ.მ. და მასზე არსებული ნარგავები და 3. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ილემში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.16.38.070) მთლიანი ფართობის 30 001 კვ.მ-ის ნაწილი 4929 კვ.მ. და მასზე არსებული ნარგავები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქეებთან კუკური თაბაგართან (პ/ნ 18001045357), ჯონი თაბაგართან (პ/ნ 18001045379) და თეა წიქარიშვილთან (პ/ნ 57001000812) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. ასევე ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება მოქალაქე კუკური თაბაგართან (პ/ნ 18001045357) საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მოქალაქეებს კუკური თაბაგარს (პ/ნ 18001045357), ჯონი თაბაგარს (პ/ნ 18001045379) და თეა წიქარიშვილს (პ/ნ 57001000812) წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული თანასაკუთრების/საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მოქალაქეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 3 აგვისტოს №1-1/289 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება), პროექტის ფარგლებში დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ კუკური თაბაგარის (პ/ნ 18001045357), ჯონი თაბაგარის (პ/ნ 18001045379) და თეა წიქარიშვილის (პ/ნ 57001000812) თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე და კუკური თაბაგარის (პ/ნ 18001045357) საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქე კუკური თაბაგარის (პ/ნ 18001045357), ჯონი თაბაგარის (პ/ნ 18001045379) და თეა წიქარიშვილის (პ/ნ 57001000812) თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე და კუკური თაბაგარის (პ/ნ 18001045357) საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის (F-4) საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია ზურაბ ნებიერიძის (პ/ნ 18001007536) საკუთრებაში არსებული, შემდეგი უძრავი ქონება: 1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა საქარაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.03.46.448) მთლიანი ფართობის 1480 კვ.მ-ის ნაწილი 501 კვ.მ. და 2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა საქარაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 32.03.47.760) მთლიანი ფართობით 1100 კვ.მ (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე ზურაბ ნებიერიძესთან (პ/ნ 18001007536) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში-კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 ივლისის №1-1/285 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება), პროექტის ფარგლებში დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ზურაბ ნებიერიძის (პ/ნ 18001007536) საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქე ზურაბ ნებიერიძის (პ/ნ 18001007536) საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის E-70 ჩქაროსნული საავტომობილო გზის გრიგოლეთი-ქობულეთის შემოსავლელი საავტომობილო გზის (კმ0+000-კმ14+400) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია შპს „გრინი“-ს (ს/ნ 451522077) საკუთრებაში არსებული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნატანებში მდებარე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.01.61.340) მთლიანი ფართობის 1000 კვ.მ-ის ნაწილი 94 კვ.მ. (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, შპს „გრინი“-თან (ს/ნ 451522077) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 3 აგვისტოს №1-1/288 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება), პროექტის ფარგლებში დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ შპს „გრინი“-ს (ს/ნ 451522077) საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქე შპს „გრინი“-ს (ს/ნ 451522077) საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს E-60 ავტომაგისტრალის ჩუმათელეთი-ხევის (F1) მონაკვეთის მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია შპს „გზამშენი-5-ის“ (ს/ნ 243855128) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხევში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4500 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ №36.05.33.273, (წინა ს/კ N36.05.04.005)) და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, შპს „გზამშენი-5-თან“ (ს/ნ 243855128) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 3 აგვისტოს №1-1/287 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება), პროექტის ფარგლებში დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ შპს „გზამშენი-5-ის“ (ს/ნ 243855128) საექსპროპრიაციო ქონებაზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, შპს „გზამშენი-5-ის“ (ს/ნ 243855128) საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

◎ ჩემპიონთა ლიგა

გმირთა ვარამ(ნ)ი

მსოფლიოს ჩემპიონ რაფაელ ვარანს გულშემატკივარი კარგად იცნობს, როგორც მუნდიალ — 2018-ის ერთ-ერთ გმირსა და, როგორც საფრანგეთის ნაკრების, ისე მადრიდის „რეალის“ დაცვის ბურჯს, მაგრამ, როგორც ყველა ძეხორციელს, მასაც გაუთენდა ნავსიანი დღე.

საუბარია მანჩესტერში „სიტისთან“ გამართულ საპასუხო მერვედფინალურ შეხვედრაზე, რომელშიც დისკვალიფიცირებული მეწყვილის (თანაც — როგორის!) სერხიო რამოსის არყოფნაში „სამფეროვანთა“ ლიდერთაგანს მხრებზე გაათმაგებული პასუხისმგებლობა დააწვა და, როგორც ჩანს, ფსიქოლოგიურ წნეხს ვერ გაუძლო.

სხვაგვარად ძნელია შეაფასო ის ბავშვური შეცდომები, რომელიც მეტოქისთვის ნაჩუქარ ორ გოლსა (**სტერლინგი, ჟესუსი**) და, რაც მთავარია, ტურნირიდან „სამეფო კლუბის“ საკმაოდ ადრეული ეტაპიდან გამოთიშვაში გამოიხატა — შეგახსენებთ, რომ პეპ გვარდიოლას გუნდს პირველი რაუნდიც 2:1 ჰქონდა მოგებული.

უკვე მერამდენედ გააწბილა „ტიფოზები“ ტურინის „იუვენტუსმა“, რომელიც **კრიშტიანუ რონალდუს** დუბლის მიუხედავად საკუთარ მინდორზე „ლიონთან“ გაშვებული საბედისწერო ბურთის შედეგად აღმოჩნდა თამაშგარე მდგომარეობაში — 2:1, 0:1.

სამაგიეროდ, ფავორიტის სტატუსი უპრობლემოდ გაამართლეს მიუნხენის „ბაიერნმა“ (4:1, 3:0 „ჩელსისთან“) და „ბარსელონამ“ (3:1, 1:1 „ნაპოლისთან“). აღსანიშნავია, რომ დიდოსტატური სოლო-შედევრით **ლეო მესიმაც** გაიმდიდრა პირადი მონაგარი, ხოლო ერთი გოლი მას ხელით თამაშის გამო გაუუქმეს თურქმა მსაჯებმა და ვიდეორეფერიმ.

ხვალიდან უძლიერესთა ოქტეტი პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში შეიკრიბება, სადაც კვლავ უმაყურებლოდ ასეთი გრაფიკით შეხვდება ერთმანეთს ერთმატჩიანი პლეი-ოფის სტარტზე:

12 აგვისტო. „ატლეტიკო“ — „ლაიფციგი“.

13 აგვისტო. „პარი სენ-ჟერმენი“ — „ატალანტა“.

14 აგვისტო. „ბარსელონა“ — „ბაიერნი“.

15 აგვისტო. „სიტი“ — „ლიონი“



გიორგი ზოთაძე

◎ სკოლიდან — სკოლაში

რაც დავიწყებით არ იბინდების...

სიმართლე გითხრათ, ბევრი ვიფიქრე, ღირდა თუ არა შემოთავაზებული სტრიქონების დაწერა და თუ დღეს აღნიშნულ წერილს კითხულობთ, ამაში გადამწყვეტი ფაქტორი იმ მასწავლებელთა, კლასელთა და მათ მშობელთა ნათელი ხსოვნისადმი ქედის მოხრა აღმოჩნდა, რომლებსაც დიდი გულსტკივილით გამოვეთხოვეთ.

გასათვალისწინებელია თარიღებისადმი პატივისცემის გამოხატვის ადამიანური სურვილიც, რომელიც ამა თუ იმ მიზეზის გამო ყოველთვის ვერ ხერხდება. რას ვიზამთ — ჩვენს პრობლემებით დახუნძლულ ცხოვრებაში ხელისშემშლელ გარემოებებს რა გამოლევს.

და მაინც, რადგან სიცოცხლე გრძელდება, მოდით, ცოტა ხნით მაინც გვერდზე გადავდოთ ყოველდღიური რუტინა და რამდენიმე წუთით უახლოეს წარსულს დავუბრუნდეთ, ანუ ყველაზე ტკბილად მოსაგონარი უზრუნველი ბავშვობის პერიოდს.

1970-1975

ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც საშუალო განათლების მისაღებად მშობლებმა ონიდან დედაქალაქში ჩამომიყვანეს და ვაჟა-ფშაველას გამზირზე 126-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი — სახელოვან კალათბურთელ ანზორ ლეჟავას და **ციალა ლეჟავა**) მიმიყვანეს.

რაჭაში ლაღად გაზრდილს, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა კორპუსისა და, შესაბამისად, სასწავლო კერის დახურულ სივრცესთან შეგუება, მაგრამ ადაპტაცია-აკლიმატიზაცია მალევე გავიარე და, თქვენ წარმოიდგინეთ, მოკრძალებული დოზით, უბნის აკადემიასაც ვეზიარე, რაც, უპირველესად, ჩანთებით ჩხუბს, „კოჭაობასა“ და ეზოში ფეხბურთის საღამომდე თამაშს გულისხმობდა.

ემზარ მოსულიშვილი, ბადრი რევიშვილი, ზაზა კობახიძე, ტყუპები — გოჩა და გურამ ბუაძეები, გიორგი მესხი, მერაბ და ბესო მენაბდეები, გია მშვიდობაძე, კახა კვინიხიძე, მამუკა ჩაჩავა, ბესო შატბერაშვილი, მამუკა არაყიშვილი, ფრიდონ ძულიაშვილი, ლევან ჩიღოშვილი, ბესო მჭედლიშვილი, მამუკა დონჯაშვილი, ზურა მელიქიშვილი, გელა თვალიაშვილი, მამუკა მომცემლიძე, სიკო თაქთაქიშვილი, გია არუთინოვი, მაია არჩვაძე, ნინო ზალდასტანიშვილი, მაია გუგუჩიშვილი, დალი ჯორკოშვილი, მაია ბერიკაშვილი, ეკა მატუა, მაია შენგელია, ლელა ჯაფარიძე, მაია ჯანყარაშვილი, ინგა გოლოევა, მაია რაზმაძე, მედეა ნამორაძე, ლია ლომსაძე — აი, ის ძირითადი ბირთვი, რომელმაც თბილისში პირველი ნაბიჯების გადადგმა გამიადვილა და მერხისა თუ კლასის მეგობრის საიდუმლოებებში გამარკვია.

სხვათა შორის, კლასში რეკორდსმენიც გვყავდა — არაერთხელ ჩარჩენილი, უკვე წვერ-ულვაშიანი იეზიდი ჭაბუკი სერგო ხიდრიანი, რომელიც თამამად აბოლებდა სიგარეტს. საბედნიეროდ, იგი მოგვიანებით გამოსწორდა, ქუჩას მოსწყდა და ბაგების ტურბაზის გამწვანების სისტემაში მუშაობდა, სადაც ხეებს რწყავდა.

უდიდესი მადლიერებით მსურს დაგისახელოთ პედაგოგთა ის პლეადა, რომელმაც სწავლის მწარე ძირი კენწეროში გაგვიტკბილა და დაგვარწმუნა, რომ ზოგჯერ უშვილო მასწავლებელიც მრავალი შვილის აღმზრდელია: **მარო ასათიანი, მზია მუმლაძე, ნანული გორდაძე, ნაზი მეტრეველი, მადონა მდივნიშვილი, ნანა მაჭარაძე, ციცინო ჩუგუაშვილი** და, განსაკუთრებით, ჩვენი კლასის პირველი დამრიგებელი და უსაზღვრო ტკივილი, ტრაგიკულად დაღუპული **მერი ხიდეშელი,** რომელიც **მაყვალა ჩხიკვიშვილმა** შეცვალა.

დავძენ, რომ იმავე პერიოდს უკავშირდება ჩემი პირველი ბავშვური სპორტული ოცნების დასამარებაც, რაც ასე მოხდა: მოგეხსენებათ, მაშინ დიდი პოპულარობით სარგებლობდა სახლმმართველობათა პირველობები მოზარდ ფეხბურთელთა შორის, რომელიც ტალანტების გამოვლენასაც ისახავდა მიზნად.

ერთ-ერთ ასეთ ტურნირზე ცნობილ მწვრთნელ რევაზ ვაწაძესთან პროტექცია მომავალმა ნათლიამ **მამუკა გურიელმა** გამიწია და მეც ორი წლით უფროსთა ასაკობრივ ჯგუფში დებიუტი ორი გატანილი გოლით აღვნიშნე. კიდევ უფრო სასიხარულო ის იყო, რომ გამოცდილმა სპეციალისტმა ნდობა გამოიცხადა, ლამაზი ფორმა გადმომცა და მეორე დღეს გაკვეთილების შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტის სტადიონზე დამიბარა, სადაც დედაქალაქის უბნების ჩემპიონატი იწყებოდა.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ ვარდისფერ სიზმრებში დამათენდა თავს და სკოლისაკენ მართლაც ჰერი, ჰერით გავწიე, მაგრამ...

ერთ-ერთ საბედისწერო შესვენებაზე დერეფანში კალმისტრით თამაშში გართულს „დაჭერობანაში“ ჩაბმულმა კახა გელაძემ შემთხვევით მთელი ძალით მითავაზა თავში სასკოლო ოთახის კარი და სკოლიდან სამედიცინოს სტადიონის ნაცვლად პოლიკლინიკაში გამაქანეს, სადაც ნაკერებით „დამამშვენეს“. მოკლედ, ასე თავგადაბინტულს მომიხდა საამურ ნატვრასთან გამოთხოვება. ისე მოხდა, რომ რამდენიმე თვეში დისლოკაციის ადგილი შევიცვალე და სწავლა ფალიაშვილის ქუჩაზე, 57-ე საშუალო სკოლაში გავაგრძელე, სადაც არანაკლებ ძვირფასი წლები გავატარე.

1975-1980

„ვაკური ხუთწლედი“ კურიოზული ფაქტით დავიწყე: იმ კლასში, სადაც სკოლის დირექტორმა **გიული ეპიტაშვილმა** გამამწესა, 45 მოსწავლე ირიცხებოდა და ჩემი „დამსახურებით“, რადგან რაოდენობა ლუწი გახდა, შუაზე გაყვეს. ბუნებრივია, ასეთი „გათიშე და იბატონეთი“ განაწყენებული დამხვდურები თავიდან აგრესიულობით გამიმასპინძლდნენ, თუმცა, მას შემდეგ, რაც ავუხსენი, რომ კლასის გაყოფა გარდაუვალი იყო, რადგან ულამაზეს გერმანისტ ნანა ყიფიანის ვაჟ კოკა ჯიბლაძის სახით დირექციას სათადარიგო ვარიანტი ჰქონდა მარაგში, ვითარება თანდათან დათბა და დღეს მაშინდელ ისტორიას ღიმილით ვიგონებთ.

რასაკვირველია, ამას ხელი კინოთეატრ „ყაზბეგსა“ და ვაკის პარკში „შატალოებზე“ ხშირმა გასეირნებებმაც შეუწყო, რასაც განთქმულ „ფრანციაში“ ტკბილეულის „დესერტიც“ ემატებოდა. აღარაფერს ვამბობ სკოლის ბუფეტში განვითარებულ სათავგადასავლო ჟანრის მოვლენებსა თუ გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელ ცელქობებზე.

პაატა არჯევანიძე, თემურ და დათო დოლიძეები, კახა მაზმიშვილი, ბეჟან მესხელი, დათო ბახტაძე, გოჩა თერგიაშვილი, ვალერი კევლიშვილი, პაატა ეფრემიძე, ლადო ზაალიშვილი, გოჩა ტომარაძე, თემურ გაიმარჯვაშვილი, თამაზ ობოლაშვილი, გოჩა ნებულიშვილი, ნოდარ კობაიძე, კახა კალანდაძე, ზაზა ფხაკაძე, მამუკა დუნდუა, დათო ცხოიძე, კობა ხატიაშვილი, ოთარ მესტოიანი, დათო ბიჯამოვი, მამუკა სულხანიშვილი, პავლე რომანიშვილი, დათო ჯოხაძე, გია იგითხანოვი, ემზარ სიხარულიძე, ზურაბ ბინიაშვილი, თამაზ ბურდული, ნატო მეტრეველი, თინიკო რაზმაძე, ნინო საყვარელიძე, ხათუნა ჩაჩავა, ნინო გიორგობიანი, მაია ვეკუა, ქეთინო ყრუაშვილი, თინიკო ჩიქვინიძე, ხათუნა გრძელიშვილი, ხათუნა კორკელია, მაია არჩვაძე, ნინო დაუშვილი, ნათელა ისაევა, მარინა უშვერიძე, მაია ბეგიაშვილი, მანანა ნადირაძე, ნინო აფციაური, მზია წკრიალაშვილი, მაია ოქიტაშვილი, მაია კალანდაძე, ლია სარქისიანი, მედიკო ჯმუხაძე — აი, ჩემი მეორედ სასკოლო მოსვლის პერსონაჟები.

მეამაყება, რომ, როგორც „ლეგიონერი“, მათ საბოლოოდ ისე მიმიღეს, როგორც სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი და, თანამედროვე უკეთურობების მიუხედავად, აწმყოშიც ვინარჩუნებთ შეუბღალავ ურთიერთობას. მეტიც — ბევრს ერთმანეთთან ნათელ-მირონიც აკავშირებს.

ვფიქრობ, გმირობად უნდა შეფასდეს იმ მასწავლებელთა ამაგი, უშურველად რომ გაიღეს ჩვენი სულების გამოსაძერწავად, თანაც იმ კონტინგენტთან მიმართებაში, საზოგადოებაში რატომღაც დამკვიდრებული სტერეოტიპის შესაბამისად, განსაკუთრებულ უბანს რომ წარმოადგენს: ერისქალობის განსახიერება **ეთერ ქუთათელაძე, ცირა ცინცაძე, ქეთო ჟღენტი, მაყვალა თანდაშვილი, ასია ავეტისოვა, ლელი რამიშვილი, ნელი ღაჭავა, ნათელა ბაკურაძე, ცისანა დათაშვილი, ნინო საჯაია, ზაირა ღლონტი, ლამარა სიხარულიძე, ლამარა მედელაური, ნელი ჩაჩხიანი, ფისო კვიწინიძე, სტეფანე ჭანკიევი, ლევან ბარამიძე, ირაკლი ლომიძე, იური ხანუკაშვილი, შოთა ნარიძე** და **ვახტანგ ბაქანიძე,** რომელიც სულ რამდენიმე წლით იყო ჩვენზე უფროსი და ხშირად გვანდობდა ფიზკულტურის დარბაზის გასაღებს. ჩვენი მეგობრობა დღემდე გრძელდება.

აი, ასეთი გამოვიდა საიუბილეო ნაცოდვილარი, რომელმაც ლოგიკურია, რომ ვერ მოიცვა ჩვენი უკვე სევდანარევნოსტალგიური სასკოლო ეტაპის ყველა ეპიზოდი (მაგალითად: ნარდისა თუ მაგიდის ჰოკეის ტურნირების შედეგებით სავსე რვეულები; ჯერაც აკრძალულ დასავლურ ფასეულობებთან — კერძოდ, სხვადასხვა მუსიკალური მიმართულებების ვარსკვლავთა შემოქმედებასთან დაახლოების პროცესი; „პაეზდკები“ და ასე შემდეგ).

იმედია, უფალი ინებებს, რომ სათქმელი მომავალ მრგვალ თარიღთა აღსანიშნავადაც მოვიტოვოთ.

გია პლატონიშვილი

თბილისთან ახლოს ახალი აეროკლუბი გაშენდება

„ამით მცირე ავიაციას ვუყრით საფუძველს“

აეროკლუბის **დაარსების** **იდეა** **სფეროთი** **დაინტერესებულ** **რამდენიმე** **ადამიანისგან** **შემდგარ** **ჯუფს** **გაუჩნდა.**

1*209 (ერთი* ორას ცხრა) — ამ სახელის უკან ცნობილი მფრინავი ბესარიონ ქებურია დგას. ის იყო პირველი ქართველი, რომელმაც ოფიციალურად მიიღო მფრინავის დიპლომი პარიზში და მსოფლიოს 209-ე პილოტი გახდა. სწორედ ამას უკავშირდება კლუბის სახელის წარმომავლობა.

„კომერსანტი“ აეროკლუბის ერთ-ერთ თანადამფუძნებელს ილია ინჯიას გაესაუბრა, რომელიც აღნიშნავს, რომ კლუბი 1 თვის წინ დარეგისტრირდა და მიზნად ისახავს რეგიონებს შორის თვითმფრინავით გადაადგილებისა და ავიაციის პოპულარიზაციას.

„ჩვენი პატარა ქვეყნისთვის, ვფიქრობთ, რომ ლანდშაფტიც და პირობებიც ძალიან საინტერესოა, ვიფიქრეთ, რომ ეს სფერო განვითარებადია და ამას მომავალი ექნებოდა. 2019 წლის დეკემბერში დავიწყეთ და მაქსიმუმ 2 თვეა რაც დავარეგისტრირეთ ჩვენი აეროკლუბი. კლუბში მოსული სტუმარი პირველ რიგში გაეცნობა ავიაციას, შეძლებს პილოტთან ერთად თვითმფრინავით გასეირნებას, ქვეყნის დათვალიერებას.

ამ დიდი საქმისთვის მარტო თავის გართმევა ძალიან ძნელია, სწავლის პერიოდში აღმოჩნდა, რომ ჩვენსავით ფრენით შეპყრობილი ადამიანებიც ყოფილან და შევიკრიბეთ 8-9 ადამიანი, ვინც ჩამოვაყალიბეთ და დავნიშნეთ კლუბის პრეზიდენტად ანზორ ყურაშვილი. ჯერჯერობით საიტიც და პროექტიც დამუშავების პროცესშია,“ — განმარტავს ილია ინჯია.

„იმის პერსპექტივა, რომ ყველა რეგიონში პატარ-პატარა აეროდრომები აშენდეს, საქართველოში ნამდვილად არის, ეს ხელს შეუწყობს მცირესაჰაერო გადაზიდვებს და ასევე ამ მიმართულებით განავითარებს ტურიზმს.

ახლა ძიების პროცესში ვართ, თუ სად გვქონდეს პირველი ბაზა, ვცდილობთ, რომ თბილისთან ახლოს იყოს. სახელმწიფოს აქვს ბევრი საბჭოთადროინდელი მიტოვებული აეროდრომები და ვფიქრობთ რამდენიმეს რეაბილიტაციას,“ — განმარტავენ აეროკლუბში.

პროექტის საინვესტიციო მოცულობა დაახლოებით ნახევარი მილიონიდან ერთ მილიონ ლარამდე თანხას შეადგენს. რაც შეეხება თვითმფრინავებს, ილია ინჯიას თქმით, მოლაპარაკებები მიმდინარეობს რამდენიმე კომპანიასთან, მათ შორის ერთ-ერთი საბერძნეთში მდებარეობს, სწორედ მათგან იგეგმება პირველი თვითმფრინავის Cessna 72-ის შეძენა.

მარიამ მორგოშია

სანთელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მწუხარებით იუწყება, რომ აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ნუგზარ ალექსიძეს გარდაეცვალა მეუღლე

დარეჯან ფხაკაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.
გამოსვენება 11 VIII, 14 სთ., მისამართი: აბანოს ქუჩა №23.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია სამძიმარს უცხადებს პრეზიდიუმის წევრს ვაჟა გიგაურს დედის, ქალბატონი

სვეტლანას

გარდაცვალების გამო.

ნათელა ვასაძე შვილებით — მარიკა და ირინე დანელიებით ღრმა მწუხარებით იუწყება ოჯახის უახლოესი მეგობრის ვაჟა გიგაურის დედის, ქალბატონი

სვეტლანას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თენგიზ ქავთარაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს დავით და ირმა ქანთარიებს მამისა და მამამთილის

გიული ვლადიმერის ძე ქანთარიას

გარდაცვალების გამო.

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები: რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, მერაბ მახარაძე, ივიკო საყვარელიძე, თამაზ ყაჭეიშვილი, გურამ ახრახაძე, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქალბატონი

ნუნუ რამიშვილი

და დიდი პატივისცემით თანაუგრძნობენ მის ძმას გია რამიშვილს და ახლობლებს.

ეკატერინე ტიკარაძე:

სამინისტრო და ექიმები ერთი განუყოფელი ნაწილია!

უნდა **დასრულდეს** **საუბარი, რომ სამინისტრო და ექიმები წარმოადგენენ ორ სხვადასხვა მხარეს. სამინისტრო და ექიმები არის ერთი განუყოფელი ნაწილი, რომელიც ახორციელებს ნებისმიერ ჩარევას და ქმედებას, რომ ჩვენი საზოგადოების, პაციენტების მდგომარეობა იყოს უსაფრთხო, — ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ „თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს“ ექიმების დაკავების შესახებ განაცხადა.**

მისი განცხადებით, ვახტანგ ყიფიანის შემთხვევა კომპლექსური და რთულია.

„ყველანი მივილტვით იმისკენ, რომ შევქმნათ ერთობლივი სისტემა, რომელშიც ნებისმიერი ქართველი თუ უცხოელი მოქალაქე შეძლებს და მიიღებს იმ საჭირო, ხარისხიან სერვისს ექიმისთვის და პაციენტისთვის უსაფრთხო გარემოში, სადაც ჩვენ საუკეთესო გამოსავალს მივიღებთ. შეხვედრის მიზეზი იყო ვახტანგ ყიფიანის საქმე, სადაც აშკარად გამოიკვეთა, თუ რა მნიშვნელოვანი ცვლილებებია საჭირო საკანონმდებლო, რეგულირების და პროფესიული კომპეტენციების ნუსხაში, რომ ვახტანგ ყიფიანი იყოს ბოლო ექიმი, რომელიც მოხვდა გარკვეულ გაუგებრობაში და დღეს მას ეწოდა თაღლითი ექიმის სახელი. სამინისტრო მზად არის, თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს არაერთი ქმედება, რომ სიცხადე შეიტანოს ამ საქმეში, მზად ვართ, გამოძიებასთან ვითანამშრომლოთ. მნიშვნელოვანია, უმოკლეს ვადებში მომზადდეს რეგულაცია, რომ ვახტანგ ყიფიანის მსგავსად სხვებიც არ აღმოჩნდნენ მსგავს სიტუაციაში. ასევე, არაერთი მსჯელობა მოჰყვა სამინისტროს მხრიდან ინიცირებულ კანონს, რის შედეგადაც სამინისტრო იძულებული გახდა, გამოეწვია ის საკანონმდებლო ორგანოდან. ამიტომ, უმოკლეს ვადაში უნდა იქნას მიღებული, რადგან მსგავსი შემთხვევები დარეგულირდეს რეგულირების სააგენტოს, სამინისტროს, კლინიკასა და პაციენტს შორის. მაშინ, როდესაც მიმდინარეობს აქტიური გამოძიება, არ მაქვს უფლება, მივიღო კონკრეტული დასკვნა, იყო თუ არა ის დამნაშავე. აქ არის დანაშაულის სიმძიმეზე საუბარი. სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს რეგულაციები და საკანონმდებლო ბაზა არ არის სათანადოდ მომზადებული, იკვეთება გარკვეული გადაცდომები“, - აღნიშნა ტიკარაძემ.

პროკურატურის ინფორმაციით, „თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოში“ ექიმების მიერ გამოვლენილი უყურადღებობისა და დაშვებული შეცდომების გამო პაციენტი დღემდე კომატოზურ მდგომარეობაშია. უწყებამ ამ საქმეზე კლინიკის დირექტორი და ერთი ექიმი დაიკავა. კიდევ ერთი ექიმის მიმართ კი დაუსწრებლად იქნა გამოტანილი დადგენილება ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

რა სახის დაავადებებია საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით, საქართველოში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული დაავადებების რიცხოვნობა 11.0%-ით შემცირდა.

ბოლო ათწლიანი პერიოდის განმავლობაში აღნიშნული მაჩვენებელი მაქსიმალურ ნიშნულს 2015 წელს აღწევდა.

საქსტატის თანახმად, 2018 წელთან შედარებით, შარშან პირველად დადგენილი დიაგნოზით მოსახლეობის ავადობა დაავადებათა ძირითადი ჯგუფების უმეტესობაში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობების რაოდენობა შემცირდა 7.4%-ით, საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობების — 13.5%-ით, კანისა და კანქვეშა ქსოვილის ავადმყოფობების — 12.3%-ით, შარდსასქესო სისტემის ავადმყოფობების — 21.6%-ით, ორსულობის, მშობიარობის და ლოგინობის ხანის — 0.3%-ით, პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობის — 30.3%-თ, ხოლო თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები შემცირებულია 36.4%-ით.

ავადობის 20 ძირითადი ჯგუფიდან მოსახლეობაში ყველაზე მეტად გავრცელებულია სუნთქვის ორგანოების, ასევე საჭმლის მომნელებელი სისტემისა და სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები.

ამასთან, საქსტატის მონაცემებით, ორი წელია, საქართველოში 15 წლამდე გოგონებს შორის აბორტის შემთხვევა არ დადასტურებულია.

2019 წელს ქვეყანაში ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის 21 600 ფაქტი აღირიცხა, რაც 1 100-ით ნაკლებია 2018 წლის მონაცემზე.

15 წლამდე ასაკის გოგონებში აბორტის ბოლო ფაქტი 2017 წელს აღირიცხა. 15-19 წლის ასაკის გოგონებში კი ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის გადაწყვეტილება გასულ წელს 450-მა მათგანმა მიიღო. წინა, 2018 წელს ეს მაჩვენებელი 510 იყო.

2019 წლის მონაცემებით, ყველაზე მეტი — 20 973 აბორტი 20-44 წლის ასაკის ქალებზე მოდის.

დაბა მესტია, უშგული და ლენჯერი ჩაიკეტა

კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, შექმნილი რთული ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, ვირუსის გავრცელების მაქსიმალურად შესაკავებლად, დაბა მესტიასა და მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლებში - უშგულსა და ლენჯერში დაწესდა საკარანტინო შეზღუდვები.

სვანეთში ჩატარდება ინტენსიური ეპიდემიოლოგიური კვლევები და მოსახლეობის მასობრივი ტესტირება; იზღუდება მესტიის მუნიციპალიტეტში შესვლა-გასვლა, რასაც საპატრულო პოლიცია და სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლები გააკონტროლებენ.

ასევე, წესდება შეზღუდვები გადაადგილებაზე დაბა მესტიასა და დაბა მესტიის სოფლებს შორის.

გარდა ამისა, დაბა მესტიაში, უშგულსა და ლენჯერში ფუნქციონირების უფლება ექნებათ მხოლოდ აფთიაქებს, საბანკო დაწესებულებებს, სასურსათო მაღაზიებსა და ღია ტიპის საკვებ დაწესებულებებს. თავშეყრის ადგილებზე მკაცრად გაკონტროლდება დისტანციის დაცვა, დახურულ სივრცეებში ნიღბების გამოყენება და ჰიგიენა.

Covid-19-ის ვირუსის ფართოდ გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, შესაბამისი უწყებები მესტიის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებიდან ტურისტებს საკარანტინე ზონებში განათავსებენ. ყველა მოქალაქე, რომელიც დატოვებს მესტიის მუნიციპალიტეტს, გაივლის სავალდებულო კარანტინს.

უკვე შექმნილია რეგიონული შტაბი, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებას და უწყებების კოორდინირებულ ქმედებებს უზრუნველყოფს.

მოვუწოდებთ მოქალაქეებს, რომლებიც ბოლო 2 კვირის განმავლობაში იმყოფებოდნენ უშგულში, დაბა მესტიასა და სოფელ ლენჯერში, ნებისმიერი სიმპტომის გამოვლენის შემთხვევაში, ტესტირების მიზნით მიმართონ ცხელების ცენტრებს ან დარეკონ 112-ზე.

ბოლო ორი დღის განმავლობაში მესტიის მუნიციპალიტეტ სოფელ ლენჯერსა და დაბა მესტიაში ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევების შედეგად აღებული 30 სინჯიდან კოვიდინფიცირების 16 შემთხვევა დადასტურდა.

ქობულეთში დაკარგული მამაკაცი იპოვეს

ქობულეთის **სოფელ ხალაში დაკარგული 84 წლის ავთანდილ გვარიშვილი სამაშველო ჯგუფმა 4-დღიანი ძებნის შემდეგ იპოვა. მამაკაცი თავს კარგად გრძნობს და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. 84 წლის მამაკაცი მდინარე დეხვის სათავის ტერიტორიაზე, ტყის მასივში იპოვეს.**

ადგილზე იმყოფებოდა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, ქობულეთის მერი და აჭარის პოლიციის თანამშრომლები.

შეტყობინება საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ში 5 აგვისტოს შევიდა, რომ ხანშიშესული მამაკაცი სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. საძიებო სამუშაოებში 97 მეხანძრე-მაშველი და პოლიცია იყო ჩართული.

მოსასვენებელი სივრცე რობაქიძის გამზირზე

დიდუბის **რაიონის გამგეობამ რობაქიძის გამზირზე, დიღმის მასივის მეექვსე კვარტალის 21-ე კორპუსის მიმდებარედ მოსასვენებელი სივრცის მოწყობის სამუშაოები დაასრულა.**

ტერიტორია 1 900 კვ.მ ფართობს მოიცავს, რომელშიც სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაო განხორციელდა. მათ შორის, სივრცეში განთავსდა თანამედროვე ტიპის საპარკე ფურნიტურა, მოეწყო განათების სისტემა, გაკეთდა ფერადი ბილიკები, პატარებისთვის მოეწყო სათამაშო ზონა.

სამუშაოები ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობითა და მათთან შეთანხმებული პროექტით განხორციელდა. სივრცე გათვლილია ყველა ასაკის ადამიანისთვის.

მოსასვენებელი სივრცის მოწყობა, დიდუბის რაიონის გამგეობის დაკვეთით, კომპანიამ „სერვისი 2015“ განახორციელა, რომლისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 260 182 ლარი გამოიყო.

ტობავარჩხილის ტბამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია იწყება

საქართველოს **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ტობავარჩხილის ტბამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის ტენდერში გამარჯვებული კომპანია გამოავლინა.**

პროექტს საქართველოს მთავრობა 5.9 მილიონი ლარით აფინანსებს.

პროექტის ფარგლებში, მოწესრიგდება ტობავარჩხილის ტბამდე მისასვლელი არსებული ამორტიზებული საავტომობილო გზა. გზის სიგრძე დაახლოებით 10 კმ-ია, სავალი ნაწილის სიგანე კი – 6.5 მეტრი. პროექტის მიხედვით, იგეგმება გრუნტის საფარისა და ლითონის თვალამრიდების მოწყობა.

ტობავარჩხილის გზის მოწესრიგება მნიშვნელოვანია, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე მისი ტურისტული პოტენციალის ასათვისებლად. გზის რეაბილიტაციას დაახლოებით 24 თვე დასჭირდება.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-25

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 13 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0758; ევრო - 3.6356;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0262;
100 რუბლი - 4.1811; თურქული ლირა - 0.4242;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8093;
1000 სომხური დრამი - 6.3313.

ამინდი 11 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+30
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+19,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+16,	დღე	+30
თბილისი:	ღამე	+22,	დღე	+31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge